



გენდერული ძალადობა  
სექსმუშაპების მიმართ  
და მართლმსახულების  
ხელმისაწვდომობის  
ბარიერები:

საერთაშორისო სფანდარტები და  
საქართველოს გამოცდილება

ავტორი: თამარ დეკანოსიძე

გამოცემაზე პასუხისმგებელი: თამარ მეტრეველი

საია მადლობას უხდის პარტნიორ

ორგანიზაციას „თანადგომა“ სექტუმავთა თემთან ფოკუს-ჯგუფების ორგანიზებისთვის.

2018 წელი



გამოცემულია ღია საზოგადოების ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. ავტორის/ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდის პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.



გენდერული  
ძალადობა  
სექსუალურის  
მიმართ და  
მართლმსახულების  
ხელმისაწვდომობის  
ბარიერები:

საერთაშორისო  
სტანდარტები და  
საქართველოს  
გამოცდილება



# შინაარსი

შესავალი

4

ტერმინთა განმარტება

5

## I. სექსმუშავთა მიმართ ძალადობა, დისკრიმინაცია და სამართლებრივი

### რეგულირების მოდელები საერთაშორისო სტანდარტების ანალიზი

6

ა. სექსსამუშაოს სამართლებრივი რეგულირების მოდელები	7
ბ. სტიგმა, ინტერსექციური დისკრიმინაცია და სტრუქტურული უთანასწორობა სექსმუშავი ქალების მიმართ	8
გ. გაეროს ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის მოსაზრებები პროსტიტუციის შესახებ	10
დ. სექსსამუშაოში ჩართვის განმაპირობებელი ფაქტორები და თანხმობა სექსსამუშაოზე - Amnesty International-ის ანალიზი	13
ე. სექსმუშავთა მიმართ ძალადობის ფორმები და კონტექსტი	14
ვ. სახელმწიფოს ვალდებულება პატივი სცეს, დაიცვას და უზრუნველყოს სექსმუშავთა უფლებები	15

## II. სექსსამუშაო და საქართველოში არსებული მდგომარეობა

17

ა. სექსსამუშაო და მასთან დაკავშირებული დანაშაულები საქართველოს კანონმდებლობაში	18
ბ. სექსმუშავთა ძალადობისგან დაცვის სამართლებრივი საშუალებები სტამბოლის კონვენციისა და საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით	20
1. ქალთა მიმართ ძალადობისგან დაცვის მექანიზმები - სტამბოლის კონვენცია	20
2. ძალადობისგან დაცვის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობაში	21
გ. პროსტიტუციის თაობაზე აღმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ანალიზი	22
1. პროსტიტუციის გამოვლენის სტატისტიკა	22
2. პროსტიტუციისთვის აღმინისტრაციული პასუხისმგებლის დაკისრებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ხარვეზები	23
3. პროსტიტუციის თაობაზე სასამართლოს დადგენილებათა ანალიზი	25

## III. სექსმუშავთა მიმართ ძალადობა და მართლშესაჭრების ხელმისაწვდომობა -

29

### ფოკუს ჯგუფების ანალიზი

33

დასკვნა და რეკომენდაციები

# შესავალი

გენდერული ძალადობა და მართლმსაჭულების ხელმისაწვდომობის ბარიერები ადამიანის უფლებათა განსაკუთრებით გავრცელებული და, უმეტესწილად, უხილავი პრობლემებია სექსმუშავ ქალთა თემში. მსოფლიოს მასშტაბით ქალები, განსაკუთრებით მარგინალიზებული ჰგუფების წარმომადგენლები, განიცდიან მყარად დამკვიდრებულ სტრუქტურულ უთანასწორობასა და ინტერსექციურ დისკრიმინაციას. დისკრიმინაციისა და უთანასწორობის სხვადასხვა ფორმა გავლენას ახდენს ქალის გადაწყვეტილებაზე, ჩაებას ან დარჩეს სექსსამუშაოში. ქალები, რომლებიც განიცდიან დისკრიმინაციას სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, რასის ან ეთნიკურობის გამო, ასევე მიგრანტი ქალები, განსაკუთრებით მოწყვლადნი არიან სექსსამუშაოში ჩართვის მიმართ.

ვინაიდან პროსტიტუცია, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ადმინისტრაციული სამართლდარღვევაა, ხოლო მასთან დაკავშირებული რიგი ქმედებები სისხლის სამართლის დანაშაული, ძალადობის შემთხვევაში სექსმუშავებს სამართლდამცავი ორგანოებისთვის მიმართვა დამატებითი ბარიერებისა და რისკების წინაშე აყენებს, ხოლო თუ გამოვლინდება მათი სტატუსი (სექსსამუშაო), შესაძლოა, მათ ან მათთან დაკავშირებულ პირებს, დაეკისროთ ადმინისტრაციული ან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენების საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ. შედეგად, სექსმუშავები განსაკუთრებით მოწყვლადნი არიან სხვადასხვა სახის ძალადობრივი დანაშაულების მიმართ (ჩადენილი სამართლდამცავი ორგანოების წარმომადგენლების ან კერძო პირების მიერ).

კვლევის მიზანია გააანალიზოს სექსმუშავთა მიმართ გენდერული ძალადობის ხასიათი, ძალადობისგან დაცვის სამართლებრივი საშუალებები და მართლმსაჭულების ხელმისაწვდომობის ბარიერები. სექსმუშავთა მიმართ ძალადობისა და ინტერსექციური დისკრიმინაციის ანალიზისას კვლევა ეყრდნობა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებს და აანალიზებს საქართველოს კანონმდებლობასა და არსებულ სასამართლო პრაქტიკას. კვლევა ასევე მიმოიხილავს საქართველოს ხუთ ქალაქში (თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, ზუგდიდი, თელავი) 2016 წელს სექსმუშავ ქალებთან ჩატარებული ფოკუსგუფების შედეგებს მათ მიმართ ძალადობაზე, დისკრიმინაციასა და მართლმსაჭულების ხელმისაწვდომობაზე. კვლევა მოიცავს რეკომენდაციებს საკანონმდებლო, პოლიტიკისა და პრაქტიკის დონეზე სექსმუშავ ქალთა ძალადობისგან დაცვისა და მართლმსაჭულების ხელმისაწვდომობის გაზრდასთან მიმართებით.

კვლევა არ მიმოიხილავს სექსსამუშაოს ლეგალიზებისა თუ კრიმინალიზების მოდელებს და მათ გავლენას სექსმუშავთა ადამიანის უფლებების დაცვის უზრუნველყოფაზე.

# ტერმინთა განმარტება

ვინაიდან ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში არ არსებობს საყოველთაოდ შეთანხმებული ტერმინები სექსსამუშაოსთან და მასთან დაკავშირებულ ქმედებებთან მიმართებით, კვლევა ეყრდნობა Amnesty International-ის მიერ გამოყენებულ ტერმინებს.<sup>1</sup> თუმცა, აღნიშნული არ უნდა განიმარტოს ისე, თითქოს კვლევა ავტომატურად იჩიარებს Amnesty International-ის პოზიციას პროსტიტუციის თაობაზე.

**სექსსამუშაო** - სექსუალური მომსახურება (მათ შორის სქესობრივი აქტი) სრულწლოვან პირებს შორის, მათი თანხმობის პირობებში, ანაზღაურების გარკვეული ფორმით, მყიდველისა და გამყიდველის მიერ განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

სექსსამუშაო ეწოდება მხოლოდ იმ ქმედებას, რომელზეც მასში მონაწილე სრულწლოვანი პირები აცხადებენ თანხმობას. როდესაც არ არსებობს მხარეთა თანხმობა სხვადასხვა მიზეზების, მათ შორის ძალადობის, ძალადობის მუქარის, მოტყუების, თაღლითობის, ძალაუფლების ბოროტად გამოყენების გამო ან როდესაც ქმედება ხორციელდება ბავშვის მონაწილეობით, ეს წარმოადგენს ადამიანის უფლებათა დარღვევასა და სისხლის სამართლის დანაშაულს.

**სექსმუშაკი** - სრულწლოვანი (18 წლის ასაკს მიღწეული) პირი, როგორც ქალი, ისე მამაკაცი, რომელიც თანახმაა სექსუალური სერვისების მიწოდებაზე და ამაში იღებს ანაზღაურებას. ანაზღაურება შეიძლება გამოიხატებოდეს სხვადასხვა ფორმითა და პირობებით და იყოს რეგულარული ან არარეგულარული. ეს ტერმინი არ გამოიყენება ბავშვებთან მიმართებით.

**კრიმინალიზება** - სექსსამუშაოს განხორციელება სრულწლოვან პირებს შორის და მათი თანხმობის საფუძველზე არის სისხლის სამართლის დანაშაული.

**პენალიზება** - სექსსამუშაოს განხორციელება არ არის სისხლის სამართლის დანაშაული. მიუხედავად ამისა, სექსსამუშაოს არეგულირებს ისეთი კანონები ან პოლიტიკა, რომელსაც აქვს კრიმინალიზების მსგავსი ეფექტი.

განმარტებიდან გამომდინარე, როდესაც სექსსამუშაო არის აღმინისტრაციული სამართალდარღვევა, იგი არის პენალიზებული.

<sup>1</sup> იხ. Amnesty International Policy on State Obligation to Respect, Protect and Fulfil the Human Rights of Sex Workers (Amnesty International Policy), 26.05.2016: <https://www.amnesty.org/en/documents/pol30/4062/2016/en/>

I.

სექსმუშავთა მიმართ ძალადობა,  
დისკრიმინაცია და სამართლებრივი  
რეგულირების მოდელები  
საერთაშორისო სტანდარტების ანალიზი

## პ. სექსსამუშაოს სამართლებრივი რეგულირების მოდელები

საერთაშორისო გამოცდილების თანახმად, არსებობს სექსსამუშაოს კრიმინალიზების, პენალიზებისა და ლეგალიზების/რეგულირების მოდელები.

სექსსამუშაოს კრიმინალიზების შემდეგი მოდელები გამოიყოფა:<sup>2</sup>

1. სრულწლოვანი პირის მიერ სხვა სრულწლოვანი პირისთვის სექსუალური მომსახურების გაწევა არის სისხლის სამართლის დანაშული. სისხლის სამართლის წესით ისჭება პირი, რომელიც ყიდის სექსუალურ მომსახურებას (სექსმუშავი);
2. სრულწლოვანი პირის მიერ სხვა სრულწლოვანი პირისთვის სექსუალური მომსახურების გაწევა არის სისხლის სამართლის დანაშული. სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება სექსუალური მომსახურების მყიდველს (კლიენტს).
3. სისხლის სამართლის წესით ისჭება სექსსამუშაოს ორგანიზება სრულწლოვან პირებს შორის. დასჯადი ქმედებები ასევე მოიცავს პროსტიტუციის რეკლამას, პროსტიტუციისთვის ფართის გადაცემას და სხვ. შესაბამისად, სექსსამუშაოს ორგანიზებისთვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ სექსმუშავებს და ასევე სხვა პირებს, რომლებიც მათ ორგანიზებაში ეხმარება.

კრიმინალიზებისგან განსხვავებით, სექსსამუშაოს **პენალიზება** მოიცავს ისეთი კანონმდებლობის ან პოლიტიკის არსებობას, რომელთაც აქვს კრიმინალიზების მსგავსი ეფექტი - მიზნად ისახავს სექსმუშათა კონტროლს, მათ დასჯასა და მათი ავტონომიის ხელყოფას სექსსამუშაოში ჩართულობის გამო.<sup>3</sup> აღნიშნული ზომები მოიცავს ჰარიმებს, „რეაბილიტაციის“ მიზნით დაკავებას, დეპორტაციას, ბავშვებ მეურვეობის ჩამორთმევას, სოციალური დახმარების მოხსნას.<sup>4</sup>

Amnesty International-ის კვლევაცხადყოფს, რომ სექსსამუშაოს კრიმინალიზაციადაპენალიზაცია მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას ახდენს სექსმუშავთა ადამიანის უფლებების დაცვაზე.<sup>5</sup> როდესაც სექსსამუშაო დასჯადია, შემდეგი უფლებების დაცვას ექმნება საფრთხე: სიცოცხლის, თავისუფლების, ავტონომიისა და პირადი უსაფრთხოების უფლება; თანასწორობის უფლება და დისკრიმინაციისგან დაცვა; წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვა; პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება; უფლება ჰანმრთელობის უმაღლეს შესაძლოსტანდარტზე; ინფორმაციის დაგანათლების მიღების უფლება; გამოხატვის თავისუფლება; სათანადო საცხოვრებლის უფლება; შრომის სამართლიანი პირობების უფლება; ოჯახური ცხოვრების უფლება; სამართლებრივი დაცვის საშუალებების ხელმისაწვდომობის უფლება.<sup>6</sup>

სექსსამუშაოს კრიმინალიზება არღვევს სექსმუშავთა უფლებას, მიიღონ ჰანმრთელობის დაცვის სერვისები, განსაკუთრებით სექსობრივი გზით გადამდები დაავადებების, აივ ინფექციის პრევენციისა და მკურნალობის, ასევე სექსუალური და რეპროდუქციული ჰანმრთელობის სერვისები.<sup>7</sup> იმის მიუხედავად, რომ ჰანმრთელობის დაცვის უფლება ექვემდებარება პროგრესულ (თანდათანობით) რეალიზებას, გაეროს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების

2 Amnesty International Policy, p. 4

3 ი. CEDAW, Concluding Observations: Russian Federation, UN Doc. CEDAW/C/RUS/CO/8, 2015, paras. 25-26

4 Amnesty International Policy, p. 4

5 Amnesty International Policy, p. 10

6 Explanatory Note on Amnesty International's Policy on State Obligation to Respect, Protect and Fulfill the Human Rights of Sex Workers, Pp. 28-36: file:///C:/Users/Administrator/Downloads/POL3040632016ENGLISH.PDF

7 Amnesty International Policy, p. 10.

კომიტეტის თანახმად, სახელმწიფოს აქვს მყისიერი ვალდებულება „გააუქმოს ან აღმოფხვრას კანონები, პოლიტიკა და პრაქტიკა, რომლებიც ახდენს კრიმინალიზებას, ხელს უშლის ან შეუძლებელს ხდის პირის ან პირთა ჭავის ხელმისაწვდომობას სექსუალური და რეპროდუქციული ჭანმრთელობის დაცვის ობიექტებზე, სერვისებზე, საქონელსა და ინფორმაციაზე.”<sup>8</sup> კომიტეტის მიხედვით, სახელმწიფოებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ სექსმუშავების ხელმისაწვდომობას სექსუალური და რეპროდუქციული ჭანმრთელობის სერვისებზე.<sup>9</sup>

Amnesty International მიუთითებს, რომ სექსსამუშაოს კრიმინალიზება და პენალიზება სამართლდამცავი ორგანოს წარმომადგენლებისთვის ქმნის გარემოს, რომელშიც მათ ეძლევათ შესაძლებლობა, სექსმუშავთა მიმართ ჩაიდინონ ძალადობა, შევიწროება, გამოძალვა და სხვ., ხოლო ამ ქმედებებისთვის დაუსჯელნი დარჩინენ.

აქედან გამომდინარე, ამგვარი სამართლებრივი ჩარჩო იწვევს სექსმუშავთათვის მართლმსაჭულების ხელმისაწვდომობის მნიშვნელოვან უგულებელყოფას და კანონის წინაშე თანასწორობის უფლების დარღვევას.<sup>10</sup> ზემოაღნიშნული გარემოებები ასევე ზრდის სექსმუშავების ექსპლოატაციის რისკს.<sup>11</sup>

Amnesty International ასევე მიიჩნევს, რომ სექსსამუშაოს კრიმინალიზება არღვევს ქალის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას, რადგან მას ერთმევა ავტონომია და მოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილებები მისი სხეულის შესახებ.<sup>12</sup> სექსსამუშაოს კრიმინალიზებისა და პენალიზების ზომები განსაკუთრებით უარყოფით გავლენას ახდენს ქალთა უფლებრივ მდგომარეობაზე, ვინაიდან სიღარიბეში ცხოვრები მსოფლიოს მოსახლეობის უმეტესობა არის ქალი და მათ ნავლებად მიუწვდებათ ხელი განათლებაზე, სამუშაო ადგილებსა და ეკონომიკურ რესურსებზე და ხშირად ეკისრებათ ოჯახზე ზრუნვის არაპროპორციული ტვირთი.<sup>13</sup>

## ბ. სთიგმა, ინტერსექციური დისკრიმინაცია და სტრუქტურული უთანასწორობა სექსმუშავი ქალების მიმართ

ქალები, განსაკუთრებით კი მოწყვლადი ჭავის წარმომადგენლები, განიცდიან ღრმად და მკვიდრებულ გენდერულ დისკრიმინაციასა და სტრუქტურულ უთანასწორობას. მამაკაცებთან შედარებით, უფრო მეტი ქალი ცხოვრობს სიღარიბეში და მსოფლიოს მასშტაბით სექსმუშავთა უდიდესი წარმილი ქალია.<sup>14</sup> გენდერული უთანასწორობა საზოგადოების სტრუქტურაში გამოიხატება და ის ყველა დონეზე ახდენს გავლენას რესურსებისა და ძალაუფლების განაწილებაზე. სტიგმა და სექსინდუსტრიაში ჩართული ქალების მიმართ არსებული სტერეოტიპები მათ განსაკუთრებით მოწყვლადს ხდის ძალადობის მიმართ.<sup>15</sup>

8 CESCR, General Comment 22, UN Doc. E/C.12/GC/22, 2016, para. 49(a).

9 CESCR, General Comment 22 (UN Doc. E/C.12/GC/22), 2016, para. 32.

10 Amnesty International Policy, p. 10.

11 NSWP, Sex Work and the Law: Understanding Legal Frameworks and the Struggle for Sex Work Law Reform, 2014.

12 ICCPR, Article 17(1)(2); ICRPD, Article 22(1); K.L. v. Peru; UN Doc. CCPR/C/85/D/1153/2003, paras. 6.4-6.5; CEDAW, General Recommendation 24.

13 UN Human Rights Council, Report of the Special Rapporteur on extreme poverty and human rights, UN Doc. A/66/265 (2011), para. 11.

14 J. Vandepitte, R. Lyerla, G. Dallabetta, F. Crabbé, M. Alary, A. Buvé, ‘Estimates of the number of female sex workers in different regions of the world’, Journal of Sexually Transmitted Infections, 82, 2006

15 The UN Convention on the Elimination of All Forms of Discrimination against Women, A Commentary, Ed. Marsha A. Freeman, Christine Chinkin and Beate Rudolf, Oxford University Press, 2012. p. 182

სექსსამუშაო მიეკუთვნება საქმიანობას, რომელთან დაკავშირებითაც განსაკუთრებით მაღალია სტიგმა, ცრურნმენები და დისკრიმინაცია როგორც კერძო პირების, ისე სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან.<sup>16</sup> სექსმუშავები ხშირად ექვემდებარებიან სხვადასხვა სახის სანქციას და მათ რიყავენ საზოგადოებიდან იმის გამო, რომ ისინი არ აკმაყოფილებენ სოციალურ, სექსუალურ და გენდერულ ნორმებს. სექსსამუშაოს კრიმინალიზება ან პენალიზება ხელს უწყობს სექსმუშავთა სტიგმატიზებას მთელი ცხოვრების მანძილზე. საზოგადოება მათ აღიქვამს ამორალურ, უპასუხისმგებლო და კანონდამრღვევ ადამიანებად, რომლებიც თავიანთი საქმიანობის გამო იმსახურებენ დასჯას, განსჯას და ძალადობასაც კი.<sup>17</sup>

სექსმუშავებზე ძალადობას და მათთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის ბარიერებს იწვევს არა მხოლოდ პროსტიტუციის კანონით აკრძალვა, არამედ სტრუქტურული უთანასწორობა და ინტერსექციური დისკრიმინაცია,<sup>18</sup> რასაც სექსმუშავები განიცდიან მათი სქესისა და სექსსამუშაოში ჩართულობის გამო. აღნიშნულ ფაქტორებს შესაძლოა ემატებოდეს სექსმუშავის სექსუალური ორიენტაცია, გენდერული იდენტობა, კანმრთელობის მდგომარეობა (გადამდები დაავადები) და სხვ.<sup>19</sup>

სტიგმა საზოგადოების მხრიდან და სექსსამუშაოს კანონით აკრძალვა ხშირად აიძულებს სექსმუშავებს იმუშაონ ფარულად, საფრთხის შემცველ გარემოში და ნაკლებად მიუწვდებოდეთ ხელი რესურსებსა და სამართლებრივი დაცვის მექანიზმებზე.<sup>20</sup>

სექსმუშავთა მარგინალიზება ზრდის მათ მიმართ ძალადობის რისკებს, ხოლო ძალადობის გამო დამნაშავეები ხშირად დაუსჯელნი რჩებიან.<sup>21</sup>

სამხრეთ აფრიკის საკონსტიტუციო სასამართლოს საქმეზე *Jordan and Others v. The State* (2002), მოსამართლეების - საჩისისა და ო'რეგანის განსხვავებული აზრის თანახმად, პროსტიტუციის ამკრძალავი კანონმდებლობა, რომელიც სამართალდამრღვევად სექსმუშავს მიიჩნევს, აძლიერებს გენდერულ სტერეოტიპებს და არ არის შესაბამისობაში გენდერული თანასწორობის პრინციპთან. სექსმუშავი აღიქმება საზოგადოებისგან გარიყულ, „დაცემულ“ ქალად, რომელსაც უბედურება მოაქვს საკუთარი თავისა და სხვა ადამიანებისთვის და იწვევს უპატივცემულობას. მეორე მხრივ, მამაკაცი - კლიენტი აღიქმება, როგორც კაცი, „რომელიც შეაცდინეს ან რომელიც აკეთებს იმას, რასაც კაცები ზოგადად აკეთებენ“ და აქედან გამოდინარე, „მისი საქციელი არ არის მორალურად გასაკიცხი“. აღნიშნული სტიგმა განასხვავებს ქალსა და მამაკაცს და ადგენს „განსხვავებულ სტანდარტებს ქალისა და მამაკაცის სექსუალობის მიმართ.“<sup>22</sup>

სისგენდერ სექსმუშავებთან შედარებით, ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი ან ტრანსგენდერი სექსმუშავები, რომლებიც არ მისდევენ გენდერულ და სექსუალურ ნორმებს, ინტერსექციური

16 *nb.* Amnesty International, "What I'm doing is not a crime": The human cost of criminalizing sex work in the City of Buenos Aires, Argentina (AMR 13/4042/2016); The human cost of 'crushing' the market: Criminalization of sex work in Norway, (EUR/36/4034/2016); Harmfully Isolated: Criminalizing sex work in Hong Kong (ASA 17/4032/2016); Outlawed and abused: Criminalizing sex work in Papua New Guinea (ASA 34/4030/2016).

17 Amnesty International Policy, p. 9

18 დისკრიმინაცია, რომელიც ხდება რამდენიმე დაცული ნიშნის ურთიერთგადაკვეთის შედეგად, როდესაც აღნიშნული ნიშნები, ცალკე აღებული, არ ქმნის დისკრიმინაციის შემადგენლობას.

19 Amnesty International Policy, p. 11

20 Amnesty International Policy, p. 6

21 Amnesty International Policy, p. 6-7

22 *Jordan and Others v. the State*, 2 October 2002, Constitutional Court of South Africa CCT 31/01 (dissenting opinion, Sachs, J and O'Regan) paras 6 and 87.

დისკრიმინაციისა და მარგინალიზების განსაკუთრებული საფრთხის წინაშე დგანან. იმის მიუხედავად, რომ სექსმუშავთა უმეტესობა სისგენდერი<sup>23</sup> ქალია, ტრანსგენდერთა შორის პროპორციულად უფრო მეტი ადამიანია სექსმუშავი, ვიდრე სისგენდერთა შორის.<sup>24</sup> ზემოაღნიშნული ფაქტები გამოხატავს ტრანსგენდერი ადამიანების მარგინალიზებულ სტატუსს საზოგადოებაში და მათთვის რესურსებისა და სამართლებრივი დაცვის საშუალებების ნაკლებ ხელმისაწვდომობას, რაც, სხვა ფაქტორებთან ერთად, განპირობებულია სტიგმითა და დისკრიმინაციის სხვადასხვა ფორმით.<sup>25</sup> შესაბამისად, სექსსამუშაოში უმეტესწილად ერთვებიან იმ ჯგუფების წარმომადგენელი ქალები, რომლებიც უთანასწორობასა და დისკრიმინაციას განიცდიან რამდენიმე ნიშნით.<sup>26</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ცალკეულ სექსმუშავთა გამოცდილება განსხვავდება, მათი უმეტესობა არის ქალი (სისგენდერი ან ტრანსგენდერი) მარგინალიზებული და ნაკლები რესურსების მქონე თემებიდან. ეს ხელს უწყობს მათ მიმართ ინტერსექციურ დისკრიმინაციას, საზოგადოების არა-ტოლერანტულ დამოკიდებულებას, სტერეოტიპების ჩამოყალიბებასა და რეპრესიულ კანონ-მდებლობას. სტიგმა, ხშირ შემთხვევაში, ეხება და აზიანებს სექსმუშავთა შვილებსაც.<sup>27</sup>

## გ. გაეროს ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის პომიტეტის მოსაზრებები პროსტიტუციის შესახებ

გაეროს ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის კონვენციის (CEDAW) მე-6 მუხლის თანახმად, სახელმწიფოები ვალდებული არიან მიიღონ ზომები ტრეფიკინგისა და ქალთა პროსტიტუციის ექსპლუატაციის აღმოსაფხვრელად.<sup>28</sup> შესაბამისად, კონვენცია მოითხოვს პროსტიტუციის იმგვარ ფორმებთან ბრძოლას, რომლებიც ექსპლუატაციის მიზნით გამოიყენება. სხვა შემთხვევაში პროსტიტუციას კონვენცია არ კრძალავს. ტრეფიკინგის ოქმის თანახმად, პროსტიტუციის სამართლებრივი რეგულირება არის თითოეული სახელმწიფოს დისკრეცია.<sup>29</sup>

გაეროს ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი (CEDAW) ტერმინს „სექსმუშავი“ არ იყენებს. CEDAW მათ მოიხსენიებს, როგორც „პროსტიტუციაში ჩართულ ქალებს“ და განიხილავს პროსტიტუციას ქალთა მიმართ ძალადობასა და ტრეფიკინგთან კავშირში.

CEDAW-ს თანახმად, ქალთა მიმართ დისკრიმინაცია ურთიერთგადაჭაჭაჭულია იმ ფაქტორებთან, რომლებიც ქალების ცხოვრებაზე ახდენს გავლენას. ეს ფაქტორები მოიცავს რასას, რელიგიას, სოციალურ, ოჯახურ, ჟანმრთელობის მდგომარეობას, პროსტიტუციაში ჩართულობას და სხვ.<sup>30</sup>

23 პირი, რომლის სქესი და გენდერული იდნებობა თანმხვედრია.

24 See V. L. Hounsfield, et al., ‘Transgender people attending Sydney sexual health services over a 16 year period’, Sex Health, 4, 2007; J. Grant, L. Mottet, J. Tanis, J. Harrison, J. Herman and M. Keisling, Injustice at every turn: A report of the National Transgender Discrimination Survey, National Center for Transgender Equality and National Gay and Lesbian Task Force, 2011.

25 Human Rights Council, ‘Discrimination and violence against individuals based on their sexual orientation and gender identity: Report of the Office of the United Nations High Commissioner for Human Rights’, 2015, UN Doc. A/HRC/29/23; Human Rights Watch, ‘Sex workers at risk: Condoms as evidence of prostitution in four US cities’, 2012.

26 Amnesty International Policy, p. 5

27 Amnesty International Policy, p. 9

28 გაეროს ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია, მუხლი N6.

29 Protocol to Prevent, Suppress and Punish Trafficking in Persons, Especially Women and Children, art 3; Interpretive notes on the Trafficking Protocol (2000) UN Doc A/55/383/Add. Para 64.

30 CEDAW General recommendation No. 35 on gender-based violence against women, updating general recommendation No. 19 (GR N35), para.12, (GR N19) available at: <http://tbinternet.ohchr.org/Treaties/>

ქალთა გარკვეული პერსონალის, მათ შორის პროსტიტუციაში ჩართული ქალების, მიმართ მომეტებულად გამოიყენება კანონმდებლობით დადგენილი სანქციები (კრიმინალიზება)<sup>31</sup> და პროსტიტუციის აკრძალვა აბრკოლებს მათ ხელმისაწვდომობას მართლმსაჭულებაზე.<sup>32</sup>

ზემოაღნიშნულ მუხლთან მიმართებით CEDAW-ს კომიტეტი მე-19 ზოგად რეკომენდაციაში განმარტავს, რომ ბევრ ქალს, მათ შორის არასრულწლოვნებსაც, პროსტიტუციას სიღარიბე და უმუშევრობა აიძულებს. ეს ქალები ძალადობის მიმართ განსაკუთრებით მოწყვლადნი არიან, რადგან მათი ქმედება ენინააღმდეგება კანონს და შესაბამისად, ახდენს მათ მარგინალიზებას. სექსმუშავებს კანონი თანასწორად უნდა იცავდეს გაუპატიურებისა და ძალადობის სხვა ფორმებისგან.<sup>33</sup>

ომები, შეიარაღებული კონფლიქტები და ოკუპაცია ხელს უწყობს პროსტიტუციის ზრდას. ამ დროს ტრეთივინგისა და სექსუალური ძალადობისგან ქალების დასაცავად საგანგებო ზომების გამოყენებაა საჭირო<sup>34</sup>. კომიტეტის მე-19 ზოგადი რეკომენდაცია ასევე ითვალისწინებს, რომ სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ სისხლის სამართლებრივი და სხვა სახის პრევენციული და სარეაბილიტაციო ზომები პროსტიტუციაში ჩართული ქალების დასაცავად და CEDAW-ს წარუდგინონ ანგარიშები ამ ზომათა ეფექტურობის თაობაზე.<sup>35</sup> კომიტეტს მიაჩინია, რომ პროსტიტუციაში ჩართულ ქალებს სპეციალური საჭიროებები აქვთ ზანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებით, რომელთაც სახელმწიფოებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ.<sup>36</sup>

CEDAW-ს ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის შესახებ N35 ზოგადი რეკომენდაციის თანახმად, რომელიც ავსებს მე-19 ზოგად რეკომენდაციას, სახელმწიფომ უნდა გააუქმოს ყველა სავანონმდებლო ნორმა, რომელიც ხელს უშლის პროსტიტუციაში ჩართული ქალების დაცვას ძალადობისგან ან რომელიც ამგვარი ძალადობის განხორციელების შესაძლებლობას ქმნის.<sup>37</sup> ამასთანავე, უნდა გაუქმდეს კანონის ისეთი ნორმები, რომლებიც ხელს უშლის ქალებს ძალადობის შესახებ განაცხადონ სამართალდამცავ ორგანოებში.<sup>38</sup>

კომიტეტს არ აქვს ერთგვაროვანი პოზიცია პროსტიტუციის რეგულირების მოდელების თაობაზე. კომიტეტი ერთის მხრივ აღნიშნავს, რომ სექსმომსახურების ყიდვის კრიმინალიზება ხელს შეუწყობს პროსტიტუციის დაფარული ფორმების არსებობას და გაზრდის ტრეთივინგის საფრთხეს,<sup>39</sup> მეორე მხრივ, კონვენციის მე-6 მუხლის ფარგლებში კომიტეტი პროსტიტუციას ექსპლუატაციასთან ერთად განიხილავს და აღნიშნავს, რომ პროსტიტუციის დეკრიმინალიზებამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს მიგრანტ ქალებზე.<sup>40</sup>

კომიტეტი მოითხოვს იმის შეფასებას, თუ რა გავლენას ახდენს პროსტიტუციის კანონმდებლობის ესა თუ ის მოდელი სექსმუშავთა უფლებების დაცვაზე. მაგ., კომიტეტი აღნიშნავს, რომ სექსმუშავთა

CEDAW/Shared%20Documents/1\_Global/CEDAW\_C\_GC\_35\_8267\_E.pdf

31 Committee on the Elimination of Discrimination against Women, General recommendation on women's access to justice, 23 July 2015, para. 49, available at: [http://tbinternet.ohchr.org/Treaties/CEDAW/Shared%20Documents/1\\_Global/CEDAW\\_C\\_GC\\_33\\_7767\\_E.pdf](http://tbinternet.ohchr.org/Treaties/CEDAW/Shared%20Documents/1_Global/CEDAW_C_GC_33_7767_E.pdf)

32 ი. ზემოთ, para. 9.

33 GR N19, para. 15.

34 GR N19, para. 16.

35 GR N19, para. 24 (h).

36 General Recommendation No. 24, 20th session, 1999, para. 6. Available at: <http://www.refworld.org/docid/453882a73.html>

37 GR N35, para. 31a.

38 GR N35, para. N31c.

39 CO Sweden, A/56/38, 25<sup>th</sup> session (2001) paras 354-5; CO Norway, CEDAW/C/NOR/7 (2007), para. 20.

40 CO Netherlands, A/56/38, 25<sup>th</sup> Session (2001), para 210. CO New Zealand, A/58/38, 29<sup>th</sup> session (2003), para. 414.

რეაბილიტაციის პროგრამებმა შესაძლოა სექსმუშავთა სტიგმატიზება მოახდინოს. კომიტეტი ასევე მიუთითებს, რომ როდესაც პროსტიტუცია აღმინისტრაციულ დაკავებას ითვალისწინებს, ეს ქმნის სექსმუშავთა პროცედურული უფლებების დარღვევის საფრთხეს.<sup>41</sup>

კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პროსტიტუციის ამკრძალავი კანონმდებლობა არ უნდა სჭიდეს სექსმუშავს და მიმართული უნდა იყოს იმ პირების მიმართ, რომლებიც ქალთა სექსუალური ექსპლუატაციისგან იღებენ სარგებელს. კომიტეტი შეშფოთებას გამოხატავს იმის გამო, რომ ზოგიერთ ქვეყანაში პროსტიტუციისთვის ისჯება სექსმუშავი და არა კლიენტი, პროსტიტუციის ორგანიზატორი ან მე-3 პირი, რომელიც სარგებელს იღებს პროსტიტუციისგან.<sup>42</sup> მაგ., კომიტეტი მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას, ამოიღოს პროსტიტუცია აღმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსიდან და შექმნას სამეთვალყურეო მექანიზმი, რომელიც განახორციელებს პროსტიტუციაში ჩაბმულ ქალთა მიმართ პოლიციის მხრიდან ძალადობის მონიტორინგს.<sup>43</sup>

კომიტეტი უარყოფითად აფასებს ზოგიერთ ქვეყანაში პროსტიტუციის მაღალ მაჩვენებლს და პროსტიტუციაში თვით „განათლებული“ ქალების ჩართულობას.<sup>44</sup> კომიტეტი მოუწოდებს სახელმწიფოებს, მიიღონ ზომები პროსტიტუციაზე მოთხოვნის შესაბამისი ტრენინგები თავის რჩენის აღტერნატიული საშუალებების მოსახებნად და მიიღონ ზომები სექსმუშავთა რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში რეინტეგრაციისათვის.<sup>45</sup>

კომიტეტი ასევე მოუწოდებს სახელმწიფოებს მხარდაჭერა აღმოუჩინონ ქალებს, რომელთაც სურთ პროსტიტუციის შეწყვეტა და უზრუნველყონ მათთვის შესაბამისი ტრენინგები თავის რჩენის აღტერნატიული საშუალებების მოსახებნად და მიიღონ ზომები სექსმუშავთა რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში რეინტეგრაციისათვის.<sup>46</sup>

პროსტიტუციის მოთხოვნის შესამცირებლად კომიტეტს ასევე მიაჩნია, რომ სახელმწიფოებმა უნდა აღმოფხვრან პროსტიტუციის გამომწვევი ძირეული მიზეზები და შეცვალონ საზოგადოების მიერ ქალების აღქმა სექსობიექტებად.<sup>47</sup> სახელმწიფოებმა საზოგადოების დამოკიდებულებების შესაცვლელად ინფორმაცია უნდა გაავრცელონ ტრეფიკინგის, ძალადობის, პროსტიტუციისა და სტერეოტიპების შესახებ როგორც მას-მედიის, ისე კონფერენციებისა და სემინარების მეშვეობით.<sup>50</sup>

შესაბამისად, CEDAW-ს კომიტეტი სექსსამუშაოს განიხილავს ქალთა მიმართ ძალადობის კონტექსტში და მოუწოდებს სახელმწიფოებს აღმოფხვრან ბარიერები, რომლებიც ხელს უშლის სექსმუშავების მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობას და მიიღონ ზომები, სისხლისსამართ-

41 CO China, CEDAW/C/CHN/cO/6 (2006) para. 19; CO Vietnam, CEDAW/C/VNM/CO/6 (2007). para. 18.

42 CO Guyana, A/56/38, 25<sup>th</sup> Session (2001), para. 180; CO Mauritius, CEDAW/C/THA/CO/5 (2006) para. 20; CO China, CEDAW/C/CHN/CO/6 (2006) para. 19.

43 CEDAW, Concluding Observations: Russian Federation, UN Doc. CEDAW/C/RUS/CO/8, 2015, paras. 25-26

44 CO Egypt, CEDAW/C/EGY/CO/7 (2010), para. 25; CO Malawi, CEDAW/C/MWI/CO/5 (2006) para. 23.

45 CO Latvia, A/59/38, 31<sup>st</sup> Session (2004) para.60. CO Spain, A/59/38, 31<sup>st</sup> Session (2004) para 337; CO Syrian Arab Republic, CEDAW/C/SYR/CO/1 (2007) para. 2; CO Japan, CEDAW/C/JPN/CO/6 (2009), para. 40; CO Libya, CEDAW/C/LBY/CO/5 (2009) para. 28.

46 CO Australia, CEDAW/C/AUS/CO/5 (2006) para. 21; CO Denmark, CEDAW/C/DEN/CO/6 (2006) para 25; CO Luxemburg, CEDAW/C/LUX/CO/5 (2008) para. 30.

47 CO Venezuela, CEDAW/C/VEN/CO/6 (2006) para. 28; CO Luxemburg, CEDAW/C/LUX/CO/5 (2008) para 29.

48 CO The Netherlands, A/56/38, 25<sup>th</sup> Session (2001) para 210; CO Angola, A/59/38, 31<sup>st</sup> Session (2004) para 157; CO Egypt, CEDAW/C/EGY/CO/7 (2010), para 26.

49 nb. CO Finland, A/56/38, 24<sup>th</sup> Session (2001) para 304; CO Switzerland, A/58/38, 28<sup>th</sup> Session (2003) para 123.

50 CO Hungary, A/57/38, Exceptional Session (2002), para. 308.

ლებრივი ზომების ჩათვლით, სექსმუშაკთა ძალადობისგან დასაცავად. ვინაიდან კომიტეტს მიაჩნია, რომ სექსსამუშაოს კანონით დასჯა ხელს უშლის სექსმუშაკების ძალადობისგან დაცვასა და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობას, სახელმწიფომ უნდა გააუქმოს სანქციები პროსტიტუციაში ჩართული ქალების მიმართ.

## დ. სექსამუშაოში ჩართვის განმაპირობებელი ფაქტორები და თანხმობა სექსსამუშაოზე - Amnesty International-ის ანალიზი

სექსმუშაკები ჰეტეროგენული ჯგუფია - ქალები სექსსამუშაოში ერთვებიან სხვადასხვა მიზეზის გამო და აქვთ სხვადასხვა სახის გამოცდილება ამ პროცესში.<sup>51</sup> ზოგიერთი სექსმუშაკი აღნიშნულ საქმიანობაში ერთვება ნების თავისუფალი გამოვლენის საფუძველზე და, სხვა სამუშაო შესაძლებლობებთან შედარებით, უფრო მაღალი ანაზღაურების მიღების მიზნით. მიუხედავად ამისა, უამრავი სექსმუშაკი იწყებს პროსტიტუციას უკიდურესი ეკონომიკური მდგომარების გამო და ყოველდღიური მინიმალური საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით.<sup>52</sup>

Amnesty International მიიჩნევს, რომ სექსმუშაკის თანხმობა პროსტიტუციაზე არის ის მნიშვნელოვანი კომპონენტი, რომელიც სექსსამუშაოს განასხვავებს ტრეთიკინგის, სექსუალური ექსპლუატაციის, სექსუალური ძალადობისა და გენდერული ძალადობისგან. თანხმობის ერთ-მნიშვნელოვანი განმარტება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში არ არსებობს. Amnesty International სექსსამუშაოსთან მიმართებით თანხმობას შემდეგნაირად განმარტავს: „ნებაყოფლობითი და დროში განგრძობადი შეთანხმება სექსუალურ აქტივობაში მონაწილეობაზე.“

ვინაიდან სექსუალურ აქტივობაზე თანხმობა არ ნიშნავს თანხმობას ძალადობაზე, სექსმუშაკს, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა პირს, უფლება აქვს გამოიხმოს თანხმობა ან შეცვალოს თანხმობის პირობები და აღნიშნული გადაწყვეტილების მხედველობაში მიღების ვალდებულება აქვს ყველა პირს (მაგ. კლიენტებს, მესამე პირებს, სამართალდამცავ ორგანოებს, მოსამართლეს).<sup>53</sup>

როდესაც სქესობრივი აქტი ხდება ნებაყოფლობითი და განგრძობადი თანხმობის გარეშე, როცა პირმა გამოიხმო თანხმობა ან შეცვალა თანხმობის პირობები, ქმედება წარმოადგენს არა სექსუალურ მომსახურებას, არამედ გაუპატიურებას. იმის გასაანალიზებლად, გამოხატა თუ არა პირმა თანხმობა, უპირატესობა უნდა მიენიჭოს სექსმუშაკთა ინდივიდუალურ გარემოებებს და იმ კონტექსტს, რომელშიც ისინი მოქმედებენ.<sup>54</sup>

სამართალდამცავი ორგანოების და სახელმწიფო სტრუქტურების სხვა წარმომადგენლები, სექსმუშაკების მიმართ დამკვიდრებული დამოკიდებულებებისა და სტერეოტიპების ზეგავლენის შედეგად, უმეტესწილად მოქმედებენ იმ პრეზუმუციით, რომ სექსმუშაკი ყოველთვის თანახმაა სქესობრივ კონტაქტზე (ვინაიდან სექსმუშაკები რეგულარულად ეწევიან სექსუალურ მომსახურებას) და უგულებელყოფენ მათ მიმართ სექსუალური ძალადობის შესაძლებლობას. ამგვარი

51 R. Weitzer, 'The Mythology of Prostitution: Advocacy Research and Public Policy', *Sexuality Research and Social Policy*, 7, 2010, p.15-29; R. Weitzer, 'Sociology of Sex Work', *Annual Review of Sociology*, 35, 2009, p. 213-234.

52 Amnesty International Policy, p. 8

53 Amnesty International Policy, p. 15

54 ი. ბერიძე.

მიღებომა არის სექსმუშავთა ადამიანის უფლებების, მართლმსაჭულების ხელმისაწვდომობისა და კანონის წინაშე თანასწორობის უფლების დარღვევა.<sup>55</sup>

Amnesty International აღიარებს, რომ მიუხედავად იმისა, რომ სექსსამუშაოში ჩართვაზე გავლენა შეიძლება მოახდინოს სიღარიბემ ან სხვა ფორმის მარგინალიზებამ, ეს გარემოებები არ უნდა იყოს განმსაზღვრელი იმის დასადგენად, არის თუ არა სექსმუშავის წების გამოვლენა/ თანხმობა ვალიდური. Amnesty International-ს მიაჩნია, რომ რთულ მდგომარეობაში ყოფნა არ ართმევს ადამიანს შესაძლებლობას, მიიღოს გადაწყვეტილება მისი ცხოვრების შესახებ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პირი ექვემდებარება მუქარას, ძალადობას ან ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას.<sup>56</sup>

მიუხედავად ზემოხსენებულის, Amnesty International-ს ასევე მიაჩნია, რომ როდესაც პირი ცხოვრობს სიღარიბეში, არის იძულებით გადაადგილებული ან იმყოფება შეიარაღებული კონფლიქტის რეგიონში, მისი ექსპლოატაციის რისკი იზრდება. სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას ყველა პირი ექსპლოატაციისა და ექსპლოატაციის რისკის შემცველი პირობებისგან. ამასთანავე, სახელმწიფო უნდა აღიაროს და პატივი სცეს პირის ავტონომიას და სრულწლოვანი ადამიანის გადაწყვეტილებას საკუთარი ნებით ჩაერთოს სექსსამუშაოში; სახელმწიფო უნდა გადაჭრას ექსპლოატაციის საფრთხე სექსმუშავთა არჩევნისა და საკუთარ მდგომარეობაზე კონტროლის შესაძლებლობის გაზრდის მეშვეობით.<sup>57</sup>

## ე. სექსმუშავთა მიმართ ძალადობის ფორმები და პონტექსტი

სექსმუშავები მსოფლიოს მასშტაბით განიცდიან ძალადობისა და ადამიანის უფლებათა სხვა-დასხვა დარღვევებს. ძალადობა, ხშირ შემთხვევაში, განპირობებულია სექსმუშავთა მიმართ სტიგმითა და დისკრიმინაციით, რასაც კიდევ უფრო ამწვავებს სექსსამუშაოს კრიმინალიზება/ პენალიზება. სექსმუშავთა მიმართ ძალადობა ხშირ შემთხვევაში წარმოადგენს გენდერულ ძალადობას, რომელზედაც გავლენას ახდენს დისკრიმინაციის სხვა ფორმებით.<sup>58</sup>

დამრღვევთა შორის არიან როგორც სამართალდამცავი ორგანოებისა და სხვა სახელმწიფო ორგანოთა წარმომადგენლები, ასევე კერძო პირები - კლიენტები, სექსსამუშაოში ჩართული მესამე პირები, სამედიცინო მომსახურების გამწვნი და სხვ. თუ სახელმწიფო დარღვევების აღმოფხვრას ცდილობს სექსსამუშაოს კრიმინალიზების/პენალიზების გზით, ეს, Amnesty International-ის მოსაზრებით, ძალაუფლებას ართმევს სექსმუშავებს, აღვივებს სტიგმას, დისკრიმინაციას, სოციალურ უთანასწორობას და ხელს უწყობს სექსმუშავთა მიერ დანაშაულების ჩამდენთა დაუსჯელობას.<sup>59</sup>

სექსმუშავთა მიმართ ძალადობის ფაქტები ხშირად გამოვლენის გარეშე რჩება და მათგე მართლმსაჭულება არ ხორციელდება, რადგან ძალადობის გაცხადებამ სექსმუშავები შესაძლოა დამატებითი საფრთხის წინაშე დააყენოს. სამართალდამცავი ორგანოები უმეტესწილად ემსა-ხურებიან კანონის აღსრულებას სექსმუშავთა წინააღდევ (მათ დასასჯელად) და არა სექსმუშავთა

55 იბ. ზემოთ

56 იბ. ზემოთ

57 Explanatory Note on Amnesty International's Policy, Pp. 26-28

58 Amnesty International Policy, p. 12

59 Amnesty International Policy, p. 9

დაცვას ძალადობისა და სხვა დანაშაულებისგან. შედეგად, სამართლდამცავი ორგანოების მიერ სექსუალურთა უსაფრთხოება დაუცველი, ხოლო დანაშაულის ჩამდენები, მათ შორის თვით სამართლდამცავი ორგანოების წარმომადგენლები, დაუსკელნი რჩებიან.<sup>60</sup>

როდესაც სექსსამუშაო ექვემდებარება სისხლისსამართლებრივი ან ადმინისტრაციული წესით დასჭას, ეს, Amnesty International-ის აზრით, ავტომატურად ნიშნავს, რომ სექსმუშავი ვერ მიმართავს დახმარებისთვის პოლიციას მის მიმართ განხორციელებული დარღვევების შემთხვევაში. ბევრი სექსმუშავისთვის პოლიციისთვის მიმართვა ნიშნავს მის მიერ ჩადენილი სამართლდარღვევის გამოვლენას, რაც დამატებით რისკის ქვეშ აყენებს მის უსაფრთხოებასა და საქმიანობას.<sup>61</sup> როდესაც სექსსამუშაო არ არის კრიმინალიზებული/პენალიზებული, სექსმუშავებს აქვთ მეტი შესაძლებლობა ითანამშრომლონ სამართლდამცავ ორგანოებთან და მოახდინონ ძალადობის, მათ შორის ტრეფიკინგის შემთხვევების, იდენტიფიცირება.<sup>62</sup>

როდესაც ისჯება სექსუალური მომსახურების მყიდველი (კლიენტი) და არა გამყიდველი (სექსმუშავი) ან როდესაც სექსსამუშაოსთან დაკავშირებული ქმედებები (როგორიცაა პროსტიტუციისთვის ფართის გადაცემა) დასჭადია, სექსმუშავებს მაინც უხდებათ საფრთხის შემცველ გარემოში მუშაობა.<sup>63</sup> როდესაც სექსუალური მომსახურის ყიდვა არის დასჭადი, სექსმუშავსა და კლიენტს შორის გარიგების დადება არის სისხლის სამართლის დანაშაული. მიუხედავად იმისა, რომ სექსუალური მომსახურების მყიდველის დასჭაის მიზანია ბრალის გადატანა სექსმუშავიდან კლიენტზე, პრაქტიკაში, Amnesty International-ის თანახმად, ზემოაღნიშნული გარემოებები მაინც სექსმუშავს აყენებს რისკის ქვეშ. ასეთ შემთხვევაში სექსმუშავებს უწევთ კლიენტების მომსახურება ფარულად და ნაკლებად უსაფრთხო გარემოში, რაც საბოლოო ჭამში სექსმუშავების დაცულობაზე აისახება უარყოფითად. მაგ., სექსმუშავებს უწევთ მომსახურების გაწევა კლიენტების მიერ განსაზღვრულ ადგილას.<sup>64</sup>

### 3. სახელმწიფოს ვალდებულება პატივი სცეს, დაიცვას და უზრუნველყოს სექსუალურთა უფლებები

ადამიანის უფლებათა საერთაშირისო სამართლის მიხედვით, სახელმწიფო ვალდებულია პატივი სცეს, დაიცვას და უზრუნველყოს სექსმუშავთა უფლებები. სახელმწიფომ უნდა მიიღოს ზომები, რათა უზრუნველყოს ქალებისთვის სოციალური გარანტიები<sup>65</sup> და აღმოფხვრას ინტერსექციური დისკრიმინაცია და სტრუქტურული უთანასწორობა, რათა პროსტიტუცია არ იყოს ქალებისთვის თავის გადარჩენის ერთადერთი საშუალება. შესაბამისად, სახელმწიფომ პროსტიტუციასთან საბრძოლველად არ უნდა აირჩიოს მხოლოდ პროსტიტუციის კანონის მიხედვით აკრძალვის გზა, მან უნდა შექმნას შესაბამისი პირობები ქალებისათვის, რათა პროსტიტუცია არ იყოს მათვის ერთადერთი საშუალება მძიმე ეკონომიკური მდგომარეობისგან თავის დასაღწევად.<sup>66</sup>

60 C.M. Lowndes et al., ‘Injection Drug Use, Commercial Sex Work, and the HIV/STI Epidemic in the Russian Federation’, *Sexually Transmitted Diseases*, 2003; Barriers to safer sex practices among women street sex workers in Cape Town’, *Culture, Health and Sexuality*, 2003, pp. 465-81.

61 Amnesty International Policy, p.12

62 See, e.g., *Innovative approaches to combat trafficking of women in sex trade by Durbar Mahila Samanwaya Committee (Kolkata)*, Durbar Mahila Samanwaya Committee, available at [www.sexworkeurope.org/sites/default/files/resource-pdfs/dmsc\\_innovative\\_approaches\\_trafficking.pdf](http://www.sexworkeurope.org/sites/default/files/resource-pdfs/dmsc_innovative_approaches_trafficking.pdf); *10 reasons to decriminalize sex work: A reference brief*, Open Society Foundations, p. 6, available at: [www.opensocietyfoundations.org/sites/default/files/decriminalize-sex-work-20120713.pdf](http://www.opensocietyfoundations.org/sites/default/files/decriminalize-sex-work-20120713.pdf); *UNAIDS guidance note on HIV and sex work*, 2012.

63 See *Canada (Attorney General) v Bedford*, 2013 SCC 72 [2013] 3 S.C.R. 1101.

64 I. U. Bjørndah, *Dangerous Liaisons: A report on the violence women in prostitution in Oslo are exposed to*, Oslo, 2012.

65 საერთაშირისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ, მუხლი N9.

66 Amnesty International Policy, p. 8

სახელმწიფოს ვალდებულება აღმოფხვრას დისკრიმინაცია და უზრუნველყოს არსებითი თანასწორობა, მოიცავს კულტურული და საზოგადოებრივი დამოკიდებულებების შეცვლას, რომლებიც საფუძვლად უდევს დისკრიმინაციას. სახელმწიფოებმა უნდა „შეცვალონ მამაკაცთა და ქალთა ქცევის სოციალური და კულტურული მოდელები ცრურნმენათა აღმოფხვრისა და ყველა იმ ჩვეულებისა და პრაქტიკის გაუქმების მიღწით, რომლებიც ერთ-ერთი სქესის არასრულფასოვნებისა ან უპირატესობის ანდა მამაკაცებისა და ქალების როლის სტერეოტიპულობის იდეას ეფუძნება.“<sup>67</sup>

სექსმუშავთა მიმართ სტიგმისა და დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად სახელმწიფომ უნდა მიიღოს მყისიერი ღონისძიებები: ცვლილებები შეიტანოს კანონმდებლობაში, რომელიც სექსმუშავებს უქმნის მართლმსაჭულების ხელმისაწვდომობის ბარიერებს; შეცვალოს სექსმუშავთა მიმართ პოლიტიკა და პრაქტიკა, რომელიც ახალისებს მათზე ძალადობას; შემოიღოს დროებითი სპეციალური ღონისძიებები არსებითი თანასწორობის მისაღწევად; განახორციელოს საგანმანათლებლო და საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კამპანიები სექსმუშავთა ადამიანის უფლებებისა და თანასწორობის საკითხებზე.<sup>68</sup>

ყველა ღონისძიება, რომელსაც სახელმწიფო გაატარებს სექსმუშავთა დასაცავად ძალადობისგან, მიზნად უნდა ისახავდეს მათ გაძლიერებას და დამატებითი რისკის ქვეშ არ უნდა აყენებდეს მათ უსაფრთხოებას.<sup>69</sup> სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს სექსმუშავთა თემის მონაწილეობა იმ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში, რომელებიც მათ უფლებებს ეხება.<sup>70</sup>

67 გაეროს ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის კონვენცია, მუხლი N5.1

68 ob. Amnesty International Policy, p. 7

69 ob. გემოთ

70 ob. Amnesty International Policy, p.2.

II.

## სექსსამუშაო და საქართველოში არსებული მდგომარეობა

## პ. სექსსამუშაო და მასთან დაკავშირებული დანაშაულები საქართველოს კანონმდებლობაში

საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს ტერმინებს „სექსსამუშაო“ და „სექსმუშავი.“ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის (სასკ) და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში (სსკ) გამოიყენება ტერმინი „პროსტიტუცია“, რომელიც თავისი შინაარსით სექსსამუშაოს გამოხატავს. ადამიანის უფლებათა თანამედროვე ლიტერატურა, გარდა გაეროს ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტისა (რომელიც იყენებს ტერმინს „პროსტიტუცია“), ძირითადად იყენებს ტერმინს „სექსმუშავი“.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, სექსსამუშაო/პროსტიტუცია არ არის სისხლის სამართლის დანაშაული. იგი ასევე არ მოიაზრება შრომის ფორმად და მასზე არ ვრცელდება საქართველოს შრომის კოდექსის მოქმედება. სექსსამუშაო არის ადმინისტრაციული სამართალდარღვევა; იგი ექვემდებარება ადმინისტრაციულ სანქციას და მიეკუთვნება საზოგადოებრივი წესრიგის ხელმყოფ აღმინისტრაციულ სამართალდარღვევებს.<sup>71</sup> ამასთანავე, პროსტიტუციასთან დაკავშირებული რიგი სხვა მოქმედებები სისხლის სამართლის დანაშაულებია (იხ. ქვემოთ).

სასკ-ის N1723 მუხლის თანახმად, პროსტიტუცია გამოიწვევს გაფრთხილებას ან დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ნახევარ მინიმალურ ოდენობამდე. პროსტიტუციის ქმედების შემადგენლობას კოდექსი არ განსაზღვრავს. მუხლი საერთოდ არ მოიცავს იმის განმარტებას, თუ რა სახის ქმედებაა პროსტიტუცია.

საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 4 ივნისის ბრძანების თანახმად, მინიმალური ხელფასის ოდენობაა 20 ლარი. მინიმალურ ხელფასთან ჟარიმებისა და სამართალდარღვევებისათვის გათვალისწინებული სხვა გადასახდელებისათვის მინიმალური ხელფასი განისაზღვრება 40 ლარით.<sup>72</sup> შესაბამისად, რადგან პროსტიტუციის მუხლი ითვალისწინებს გაფრთხილებას ან ჟარიმას შრომის ანაზღაურების ნახევარ მინიმალურ ოდენობამდე, ჟარიმა უნდა განისაზღვროს მაქსიმუმ 20 ლარის ოდენობით.

ჩემოხსენებული მუხლის თანახმად (სასკ, მუხლი N172<sup>3</sup>), თუ პროსტიტუციის ჩადენა ხდება განმეორებით - ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში, ეს გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ნახევრიდან ერთ მინიმალურ ოდენობამდე (შესაბამისად, 20-დან 40 ლარამდე).

სექსმუშავი, რომელიც ახორციელებდა სექსსამუშაოს იმის გამო, რომ იყო ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი და არის დაზარალებულად ცნობილი აღნიშნულ დანაშაულზე, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან თავისუფლდება პროსტიტუციისთვის. პასუხისმგებლობისგან გასათავისუფლებლად პირს პროსტიტუცია ჩადენილი უნდა ჰქონდეს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის სტატუსის მოპოვებამდე.<sup>73</sup>

პირის მიერ პროსტიტუციის ნებაყოფლობითი განხორციელება არ არის სისხლის სამართლის წესით დასჭადი - სისხლის სამართლის დანაშაულებია პროსტიტუციაში ჩაბმა და პროსტი-

71 საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, თავი N13.

72 საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება N 351, მინიმალური ხელფასის ოდენობის შესახებ, 1999 წლის 4 ივნისი, მუხლი N1და N3.

73 საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი N172<sup>3</sup>, შენიშვნა

ტუციისთვის ადგილის ან საცხოვრებლის გადაცემა, რომელთა მიხედვითაც ისჯება პირი, რომელმაც სხვა პირი ჩააბა პროსტიტუციაში ან ამ ქმედებისთვის გადასცა საცხოვრებელი (თავად სექსმუშავი არ ისჯება სისხლის სამართლის წესით).

**პროსტიტუციაში ჩაბმა, სისხლის სამართლის კოდექსის 253-ე მუხლის თანახმად, განისაზღვრება, როგორც პროსტიტუციაში ჩაბმა ძალადობით, ძალადობის ან ქონების განადგურების მუქარით, შანტაჟით ან მოტყუებით. მისთვის სასჭელად გათვალისწინებულია ჭარიმა ან თავისუფლების აღვეთა ვადით ორ წლამდე. ქმედება მძიმდება, თუ იგი ჩადენილია ორგანიზებული ჯგუფის მიერ ან წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ ან თუ ხდება არასრულწლოვნის პროსტიტუციაში ჩაბმისგან სარგებლის მიღება და იგი ისჯება თავისუფლების აღვეთით ვადით ხუთიდან შვიდ წლამდე (სსკ მუხლი 253.2).**

**არასრულწლოვნის პროსტიტუციაში ჩაბმა ისჯება იმის მიუხედავად, ჩადენილია თუ არა იგი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მოტყუებით. სისხლის სამართლის კოდექსის 171.3 მუხლის თანახმად, არასრულწლოვნის ჩაბმა პროსტიტუციაში ძალადობის, ძალადობის მუქარის ან მოტყუების გარეშე, ისჯება თავისუფლების აღვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე.**

**პროსტიტუციისთვის ადგილის ან საცხოვრებლის გადაცემა (მუხლი N254) ისჯება ჭარიმით ან თავისუფლების აღვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე.**

ქმედება, ჩადენილი სამოქალაქო მოსახლეობაზე ან პირებზე ფართომასშტაბიანი ან სისტემატური თავდასხმის ფარგლებში, გამოხატული პროსტიტუციის იძულებით, რომლებიც სერიოზულ ზიანს აყენებს ადამიანის ფიზიკურ ან/და ფსიქიკურ მდგომარეობას, წარმოადგენს **დანაშაულს ადამიანურობის წინააღმდეგ** (სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი N408).

**ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაული, რომელიც ჩადენილია ექსპლუატაციის მიზნით, ექსპლუატაციად, სხვა ქმედებათა შორის, პირის პროსტიტუციაში ჩაბმასაც მიიჩნევს (სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 143<sup>1</sup> შენიშვნა, 1(დ)).**

პროსტიტუციაში ჩაბმა (ჩადენილი მათ შორის არასრულწლოვნის მიმართ) და პროსტიტუციისთვის ადგილის ან საცხოვრებლის გადაცემა, სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, მიეკუთვნება მოსახლეობის ჭანმრთელობისა და საზოგადოებრივი ზნეობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს.<sup>74</sup> პროსტიტუციაში ჩაბმისთვის დანაშაულის ძირითადი ობიექტია საზოგადოებრივი ზნეობა, ხოლო დამატებითი ობიექტი - ადამიანის პირადი ხელშეუხებლობა, პატივი და ღირსება, ჭანმრთელობა, საკუთრება.<sup>75</sup>

ვინაიდან პროსტიტუციაში ჩაბმისთვის, სსკ-ს თანახმად, დაცვის ობიექტი საზოგადოებრივი ზნეობაა, კანონმდებელი ქმედებას არასათანადო სერიოზულობით უდევს. იგი უგულვებელყოფს იძულებითი პროსტიტუციის დამაზიანებელ ეფექტს ადამიანზე, მათ შორის არასრულწლოვანზე, რადგან არ მიიჩნევს პროსტიტუციაში ჩაბმის დანაშაულს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების წინააღმდეგ მიმართულ (სსკ, თავი XXIII). ან სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად (სსკ, თავი XXII).

ზემოაღნიშნულის საპირისპიროდ, არასრულწლოვნის პროსტიტუციაში ჩაბმა ძალადობის,

74 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თავი XXXII, დანაშაული მოსახლეობის ჭანმრთელობისა და საზოგადოებრივი ზნეობის წინააღმდეგ

75 სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარი, კერძო ნაწილი, ავტორთა კოლექტივი, გვ. 653.

ძალადობის მუქარის ან მოტყუების გარეშე, კოდექსის თანახმად, ოჯახისა და არასრულწლოვნის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს მიეკუთვნება და კანონმდებელი მას საზოგადოებრივი მორალის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს არ მიაკუთვნებს. ადამიანით ვაჭრობა, მათ შორის ადამიანით ვაჭრობა ჩადენილი პირის პროსტიტუციაში ჩაბმის მიზნით (სსკ, მუხლი 1431 შენიშვნა, 1(დ)), მიეკუთვნება ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს.

შესაბამისად, პირის (მათ შორის არასრულწლოვნის) პროსტიტუციაში ჩაბმა საკანონმდებლო დონეზე აღიარებული უნდა იყოს, როგორც სათანადო სიმძიმის ქმედება და იგი საზოგადოების მორალურ განზომილებაში არ უნდა განიხილებოდეს. მისი გადატანა უნდა მოხდეს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამის თავში და უნდა განისაზღვროს, როგორც ადამიანის უფლებების ან სქესობრივი თავისუფლების/ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული. თუ დანაშაული არასრულწლოვნის მიმართ არის ჩადენილი (სსკ 253.2), დაცვის ობიექტი უნდა იყოს თვით არასრულწლოვანი და არა საზოგადოებრივი ჭანმრთელობა ან მორალი.

## **ბ. სექსუალური ძალადობის მიმართულებრივი საშუალებები სტამბოლის კონვენციის და საქართველოს პანონიანი ბეჭდის მიხედვით**

### **1. ქალთა მიმართ ძალადობისგან დაცვის მექანიზმები - სტამბოლის კონვენცია**

2017 წელს საქართველოსთვის ძალაში შევიდა ევროპის საბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ (სტამბოლის კონვენცია). კონვენციის თანახმად, „ქალებზე ძალადობა არის ქალებსა და მამაკაცებს შორის ისტორიულად ჩამოყალიბებული არათანასწორი ძალაუფლებრივი ურთიერთობების გამოვლინება, რამაც გამოიწვია კაცების მიერ ქალების დისკრიმინაცია, მათზე დომინირება და ქალების სრული თვითრეალიზაციისთვის ხელის შეშლა. გენდერული ძალადობა არის ქალებზე ძალადობის სტრუქტურული ფორმა და ერთ-ერთი მთავარი სოციალური მექანიზმი, რომელიც ქალებს კაცებთან მიმართებით დაქვემდებარებულ მდგომარეობაში აყენებს“.<sup>76</sup>

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ნორმები (მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და ინტერ-ამერიკული სასამართლოს პრაქტიკა) ქალზე ძალადობას ქალის დისკრიმინაციის ერთ-ერთ ფორმად მიიჩნევს.<sup>77</sup> გაეროს ქალთა დისკრიმინაციის აღმოფენის კომიტეტის მე-19 ბოგადი რეკომენდაცია განმარტავს, რომ „გენდერული ძალადობა არის დისკრიმინაციის ფორმა, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს ქალის შესაძლებლობას, ისარგებლოს უფლებებითა და თავისუფლებებით მამაკაცებთან თანასწორობის საფუძველზე“.<sup>78</sup> სტამბოლის კონვენცია აღიარებს, რომ ქალები ხშირად ხდებიან შემდეგი დანაშაულების მსხვერპლი: ოჯახში ძალადობა, აღევნება, გაუპატიურება, იძულებით ქორწინება, ე.წ. ღირსების სახელით ჩადენილი დანაშაულები, გენიტალიების დასახირება<sup>79</sup> - ყველა ამ დანაშაულს კონვენცია მიიჩნევს ძალადობის ფორმად, ადამიანის უფლებათა მნიშვნელოვან დარღვევად

76 სტამბოლის კონვენცია, პრეამბულა

77 გაეროს ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი, ზოგადი რეკომენდაცია N19, 1992 წ. აბზაცი N1; იხ. ასევე ევროპის საბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ (სტამბოლის კონვენცია), სტამბოლი, 11.05.2011, მუხლი 3(ა); Opuz v. Turkey, საჩივარი N33401/02, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 09.06.2009, აბზაცი N200

78 გაეროს ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის მე-19 ბოგადი რეკომენდაცია, იხ. ბმულზე: <http://www.un.org/womenwatch/daw/cedaw/recommendations/recomm.htm>

79 სტამბოლის კონვენცია, პრეამბულა

და მთავარ დაბრკოლებად ქალებსა და ვაცებს შორის თანასწორობის მიღწევის გზაზე. კონვენცია ასევე აღიარებს, რომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლი შესაძლოა, გახდნენ როგორც ქალები, ისე ვაცები, მაგრამ ძალადობის ეს ფორმა ქალებზე არათანაზომიერად აისახება.<sup>80</sup>

გაეროს ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის კონვენცია არ ითვალისწინებს ქალთა მიმართ ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაულების დეფინიციას. მეორე მხრივ, სტამბოლის კონვენცია მოითხოვს, რომ სახელმწიფო სისხლის სამართლის წესით დასაქოს ქალთა სიცოცხლისა და ჭანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, მათ შორის: **ქალთა მიმართ ძალადობა<sup>81</sup>, ოჯახში ძალადობა<sup>82</sup>, ფსიქოლოგიური ძალადობა,<sup>83</sup> ადევნება,<sup>84</sup> ფიზიკური ძალადობა<sup>85</sup>**

**გენდერული ძალადობა ქალთა მიმართ, სტამბოლის კონვენციის თანახმად, განმარტებულია, როგორც ძალადობა ქალის მიმართ იმ მიზეზით, რომ ის ქალია, რაც არათანაზომიერ გავლენას ახდენს ქალებზე (სტამბოლის კონვენცია, მუხლი N3.8).**

## 2. ძალადობისგან დაცვის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობაში

2017 წლის მაისში სტამბოლის კონვენციის რატიფიცირების შედეგად, ცვლილებები შევიდა საქართველოს კანონმდებლობაში (ამოქმედდა 2017 წლის 1-ლი ივნისიდან), რომელმაც გააფართოვა ძალადობისგან დაცვის მექანიზმები და სერვისები. ცვლილებების შედეგად ეს მექანიზმები შესაძლოა გამოიყენონ არა მხოლოდ ოჯახში ძალადობის მსხვერპლებმა, არამედ გენდერული ძალადობის ნებისმიერმა მსხვერპლმა ქალმა. შესაბამისად, ისინი უნდა გავრცელდეს იმ პირებზეც, რომლებიც ჩართული არიან სექსსამუშაოში და განიცდიან ძალადობას ოჯახის წევრის, კლიენტის, ყოფილი კლიენტის ან სხვა პირის მიერ. იმის მიუხედავად, რომ გენდერული ძალადობა არაპროპორციულად ეხება სხვადასხვა მოწყვლადი ჭავეფის წარმომადგენელ ქალებს, მათ შორის სექსმუშავებსაც, საქართველოს კანონმდებლობა მათთვის ძალადობისგან დაცვის სპეციალურ მექანიზმებს არ ითვალისწინებს.

ოჯახში ძალადობა სისხლის სამართლის დანაშაულია.<sup>86</sup> კანონმდებლობა ძალადობისგან დასაცავად, ასევე, ადმინისტრაციულ მექანიზმებს (შემავავებელი და დამცავი ორდერები) ითვალისწინებს. მსხვერპლთათვის ფუნქციონირებს სახელმწიფო თავშესაფრები და კრიზისული ცენტრი.<sup>87</sup>

2015-2017 წლებში, სტამბოლის კონვენციის შესაბამისად, სისხლის სამართლის წესით დასკადი გახდა შემდეგი ქმედებები: ქორწინების იძულება, ადევნება, ქალის სასქესო ორგანოს დასახირება, იძულებითი სტერილიზაცია. შეიცვალა გაუპატიურების მუხლის ფორმულირება. დანაშაულის ჩადენა ოჯახის წევრის მიმართ და სქესის ნიშნით დისკრიმინაციული მოტივით მიიჩნევა დანაშაულის დამაძიმებელი გარემოებად.<sup>88</sup> ქორწინების მინიმალური ასაკი გახდა 18 წელი, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე.<sup>89</sup> საქართველოს კონსტიტუციაში ფორმალური თანასწორობის მიდგომა არსებითი თანასწორობით შეიცვალა.<sup>90</sup>

80 სტამბოლის კონვენცია, პრეამბულა

81 სტამბოლის კონვენცია, მუხლი N3.ა.

82 სტამბოლის კონვენცია, მუხლი N3.ბ

83 სტამბოლის კონვენცია, მუხლი N33

84 სტამბოლის კონვენცია, მუხლი N34.

85 სტამბოლის კონვენცია, მუხლი N35.

86 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 1261 და მუხლი 126.

87 კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ, 2006.

88 სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლები: 150<sup>1</sup>, 151<sup>1</sup>, 133<sup>2</sup>, 133<sup>1</sup>, 137, 53<sup>1.1</sup> და 53<sup>1.2</sup>.

89 საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1108

90 საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი N11.3. მუხლი ძალაში შედის მომავალი პრეზიდენტის არჩევის შემდეგ.

მიუხედავად ზემოხსენებული ცვლილებებისა, სექსუალური შევიწროება კვლავ არ არის კანონის თანახმად დასჭადი ქმედება ან დისკრიმინაციის ფორმა. სისხლის სამართლის კოდექსი ცალკე არ გამოყოფს ოჯახის გარეთ ჩადენილ ფსიქოლოგიურ ძალადობასა და ფემიციდს (გენდერის ნიშნით ჩადენილი ქალის მკვლელობა). სექსუალური ძალადობის შესახებ კანონმდებლობა სტამბოლის კონვენციის სტანდარტებს კვლავ არ შესაბამება.

საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს სტამბოლის კონვენციით გათვალისწინებულ დანაშაულებს - ქალის მიმართ ძალადობას და გენდერულ ძალადობას/გენდერულ დანაშაულს. იმის მიუხედავად, რომ ცალკეული დანაშაულები ქალის მიმართ იმ მიზეზით ხდება, რომ იგი ქალია ან ეს დანაშაული არაპროპორციულად ეხება ქალებს, სსკ-ის მუხლები ამ დანაშაულებთან მიმართებით გენდერულ სპეციფიკას არ ითვალისწინებს. ამასთანავე, ქალის მიმართ ჩადენილი ძალადობა და ოჯახში ძალადობა, სტამბოლის კონვენციისა და საერთაშორისო ინსტრუმენტების მოთხოვნების საპირისპიროდ, არ განისაზღვრება, როგორც ქალის დისკრიმინაციის ფორმა.

## გ. პროსტიტუციის თაობაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ანალიზი

### 1. პროსტიტუციის გამოვლენის სტატისტიკა

კვლევის ფარგლებში, 2005-2015 წლებსა და 2016 წლის იანვარ-სექტემბერში გამოვლენილ სამართალდარღვევებზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 172<sup>3</sup> მუხლზე (პროსტიტუცია) დაყრდნობით, გაანალიზდა შინაგან საქმეთა სამინისტროში არსებული სტატისტიკური მონაცემები.

სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სექსმუშავ ქალთა შორის პროსტიტუციის გამოვლენის მაჩვენებელი შემდეგია:<sup>91</sup>

- ✓ 2005-2007 წწ. - 0 შემთხვევა;
- ✓ 2008 წ. - 11 შემთხვევა (1 დაჭარიმება და 1 გაფრთხილება თბილისში; 9 დაჭარიმება იმერეთის, რაჭა-ლეჩესუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში);
- ✓ 2009 წ. - 0 შემთხვევა;
- ✓ 2010 წ. - 3 შემთხვევა (3-ვე პირი გააფრთხილეს სამცხე-ჭავახეთში);
- ✓ 2011 წ. - 0 შემთხვევა;
- ✓ 2012 წ. - 3 შემთხვევა (3-ვე პირი დაჭარიმდა სამცხე-ჭავახეთში);
- ✓ 2013 წ. - 21 შემთხვევა (19 დაჭარიმება იმერეთში, რაჭა-ლეჩესუმსა და ქვემო სვანეთში და 1 გაფრთხილება და 1 დაჭარიმება სამცხე-ჭავახეთში);
- ✓ 2014 წ. - 7 შემთხვევა (3 დაჭარიმება და 4 გაფრთხილება იმერეთში, რაჭა-ლეჩესუმსა და ქვემო სვანეთში);
- ✓ 2015 წ. - 54 შემთხვევა (41 გაფრთხილება თბილისში და 13 დაჭარიმება სამეგრელოსა და ზემო სვანეთში).
- ✓ 2016 წ. იანვარი-სექტემბერი - 0 შემთხვევა.

ზემოხსენებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, პროსტიტუციის გამოვლენის ყველაზე დიდი რაოდენობა აღინიშნა თბილისში 2015 წელს და შეადგინა 41 შემთხვევა. შემდეგ მოდის იმერეთი, რაჭა-ლეჩესუმი და ქვემო სვანეთი, სადაც 2013 წელს 19 შემთხვევა დაფიქსირდა.

91 საქართველოს შინაგან სამინისტროს წერილი N2976011, 29.11.2016.

კვლევის ფარგლებში ასევე მოხდა 2007 წლიდან 2017 წლამდე სასამართლოს დადგენილებების გამოთხოვა თბილისის, ბათუმის, გორის, ზუგდიდის, თელავისა და ქუთაისის საქალაქო/რაიონული სასამართლოებიდან, სასკ-ის 172<sup>3</sup> მუხლზე (პროსტიტუცია) დაყრდნობით. მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, მხოლოდ თბილისის საქალაქო სასამართლოს აქვს განხილული პროსტიტუციის თაობაზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე, ხოლო დანარჩენ სასამართლოებს აღნიშნულ მუხლზე საქმე არ ჰქონიათ:

- ✓ **თბილისის საქალაქო სასამართლომ 2015 წელს განიხილა 38 საქმე 172<sup>2</sup> მუხლით (პროსტიტუცია), სადაც სამართალდამრღვევი იყო ქალი. 2016 წელს განიხილა 3 ასეთი საქმე. 2010-2014 წლებში, ასევე 2017 წლის მაისის მდგომარეობით, აღნიშნულ სამართალდარღვევაზე სასამართლოს საქმე არ განხილავს.<sup>92</sup>**
- ✓ **ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს 2010 წლიდან 2017 წლის ივნისამდე არ განხილავს 172<sup>2</sup> მუხლით (პროსტიტუცია) გათვალისწინებული არც ერთი საქმე. 2007 წლიდან 2010 წლის ჩათვლით განხილული საქმების რაოდენობაზე ზუგდიდის სასამართლო ინფორმაციას არ ფლობს (ინახება სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტში).<sup>93</sup>**
- ✓ **გორის რაიონულ სასამართლოს 2012 წლიდან 2017 წლის ივნისამდე 172<sup>2</sup> მუხლით (პროსტიტუცია) გათვალისწინებული არც ერთი საქმე არ განხილავს. 2010 წლამდე საქმეებზე ინფორმაციას არ ფლობს (ინახება სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტში).<sup>94</sup>**
- ✓ **თელავის რაიონულ სასამართლოს 2007 წლიდან 2017 წლის ივნისამდე 172<sup>2</sup> მუხლით (პროსტიტუცია) გათვალისწინებული არც ერთი საქმე არ განხილავს.<sup>95</sup>**
- ✓ **ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლიდან 2017 წლის ივნისამდე 172<sup>2</sup> მუხლით (პროსტიტუცია) გათვალისწინებული არც ერთი საქმე არ განხილავს. 2013 წლამდე საქმეებზე ინფორმაციას არ ფლობს (ინახება სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტში).<sup>96</sup>**

## **2. პროსტიტუციისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლის დაკისრებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ხარვეზები**

სექსმუშაკებს პროსტიტუციისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა კანონმდებლობის მთელი რიგი დარღვევებით ეკისრებათ. ეს გამოწვეულია სასკ-ში არსებული ხარვეზებით ერთი მხრივ, პროსტიტუციის დეფინიციის არარსებობის გამო, ხოლო მეორე მხრივ, არ არის განსაზღვრული ორგანო, რომელიც უფლებამოსილია პროსტიტუციისთვის შეადგინოს ადმინისტრაციული სამართლდარღვევის ოქმი.

სასკ-ი არ მოიცავს პროსტიტუციის დეფინიციას - მუხლი N172<sup>3</sup> (პროსტიტუცია) მხოლოდ ადგენს პასუხისმგებლობას პროსტიტუციისთვის და იგი არ განმარტავს, თუ რა სახის ქმედება წარმოადგენს პროსტიტუციას - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას. ეს სამართალდამცავ ორგანოებსა და სასამართლოს აძლევს შესაძლებლობას თვითნებურად განმარტონ ადმინისტრაციული წესით დასჭადი ქმედება. მუხლის ფორმულირება შემდეგია:

**მუხლი 172<sup>3</sup>. პროსტიტუცია**

პროსტიტუცია, -გამოიწვევს გაფრთხილებას ან დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ნახევარ მინიმალურ თდენობამდე.

იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის

92 თბილისის საქალაქოს სასამართლოს 2017 წლის 22 ივნისის წერილი N3-0486/1977239.

93 ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 26 ივნისის წერილი N449.

94 გორის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 30 ივნისის წერილი Nგ/ფ - 7887.

95 თელავის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 26 ივნისის წერილი N407.

96 ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 30 ივნისის წერილი, N407 გ/3.

განმავლობაში, – გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ნახევრიდან ერთ მინიმალურ ოდენობამდე.

შენიშვნა: ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდებიან ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143 1 ან/და 143 2 მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე დაზარალებულად ცნობილი პირი, თუ აღნიშნული ქმედება მათ ჩაიდინეს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლად ყოფნის გამო ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის სტატუსის მოპოვებამდე.

სასკ-ში ასევე არ არის განსაზღვრული პირი/ორგანო, რომელიც უფლებამოსილია პროსტიტუციისთვის შეადგინოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი. შინაგან საქმეთა ორგანოებს სასკ-ის თანახმად, არ აქვთ პროსტიტუციაზე ოქმის შედგენის უფლებამოსილება. კერძოდ, სასკ-ის კარი N3 განსაზღვრავს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განსახილველად უფლებამოსილ ორგანოებს. აღნიშნულ ორგანოთა შორის არც ერთი არ ითვალისწინებს 172<sup>3</sup> მუხლის (პროსტიტუცია) განხილვას.

ამის მიუხედავად, სასკ-ი განსაზღვრავს იმ ორგანოებს (თანამდებობის პირებს), რომლებსაც აქვთ ადმინისტრაციული დაკავების უფლება (სასკ, მუხლი 246). მუხლის თანახმად, შინაგან საქმეთა ორგანოებს პროსტიტუციის შემთხვევაში შეუძლიათ დამრღვევის ადმინისტრაციული დაკავება. ადმინისტრაციული დაკავება შესაძლებელია კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აღსაკვეთად, როდესაც ამონურულია ზემოქმედების სხვა ზომები; პიროვნების დასადგენად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შესადგენად, თუ ოქმის შედგენა აუცილებელია, მაგრამ მისი ადგილზე შედგენა შეუძლებელია და სხვ. (სასკ, მუხლი N244).

ზემოხსენებული მუხლიდან გამომდინარე, პოლიციელს შეუძლია დააკავოს სექსმუშავი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აღსაკვეთად (როდესაც სხვა საშეალებები ამონურულია) ან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შესადგენად, თუ ოქმის ადგილზე შედგენა შეუძლებელია. შესაბამისად, თუ ოქმის ადგილზე შედგენა შესაძლებელია და სექსმუშავის დაკავება არ არის საჭირო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აღსაკვეთად, არ არსებობს კანონის ნორმა, რომელიც სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელს ხდის უფლებამოსილს შეადგინოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი. ამასთანავე, დაკავების შემთხვევაშიც კი, მიუხედავად იმისა, რომ განსაზღვრულია დაკავებაზე უფლებამოსილი პირი, სამართალდარღვევათა ოქმის შედგენაზე უფლებამოსილი პირი სასკ-ში არ არის დაკონკრეტებული.

ამასთანავე, სასკ-ში არ არის მითითება, რომ შინაგან საქმეთა ორგანოს მიერ შედგენილ სამართალდარღვევის ოქმზე სასამართლო კონტროლის განხორციელების მიზნით, პროსტიტუციის საქალაქო/რაიონული სასამართლოები იხილავნ საქმეს. პროსტიტუცია არ შედის სასკ-ში ჩამოთვლილ იმ სამართალდარღვევათა სიაში, რომელებსაც სასამართლო განიხილავს (სასკ, მუხლი N208)<sup>97</sup>, რაც სასკ-ის აღნიშნული დებულებების ხარვეზია.

97 მუხლი N208: რაიონული (საქალაქო) სასამართლო განიხილავს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 42<sup>1</sup> და 42<sup>2</sup> მუხლებით, 43<sup>3</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 43<sup>1</sup>–44<sup>3</sup>, 44<sup>5</sup>, 44<sup>7</sup>–46<sup>4</sup>, 48-ე, 49-ე, 50<sup>1</sup>, 51-ე–55<sup>4</sup>, 56-ე, 57-ე–59-ე, 59<sup>2</sup>–მე-60, 60<sup>3</sup>–61<sup>1</sup>, 63-ე–65-ე, 66-ე–69-ე, 71-ე, 71<sup>1</sup>, 72<sup>1</sup>–78-ე, 79<sup>1</sup>–81-ე, 82<sup>1</sup>, 82<sup>2</sup>, 84-ე–86-ე, 87<sup>1</sup>–89<sup>3</sup>, 91<sup>2</sup>, 91<sup>3</sup>, 94-ე, 95-ე, 99-ე, 100<sup>1</sup>, 100<sup>2</sup>, 103<sup>1</sup>, 104-ე და 105<sup>1</sup> მუხლებით, 127<sup>1</sup> მუხლის მე-5 ნაწილით, 128<sup>1</sup>–128<sup>5</sup>, 143-ე, 144-ე, 144<sup>10</sup>, 145-ე, 146<sup>1</sup>, 148-ე, 150-ე–151-ე, 152-ე, 152<sup>2</sup>, 153-ე, 153<sup>1</sup> და 153<sup>3</sup>–153<sup>5</sup> მუხლებით, 153<sup>6</sup> მუხლის მე-2 ნაწილით, 154-ე–154<sup>2</sup>, 155<sup>1</sup>–156-ე, 157<sup>1</sup>–158<sup>1</sup>, 159-ე, 159<sup>1</sup>, 159<sup>4</sup>–159<sup>10</sup>, 163-ე, 164-ე, 164<sup>4</sup>, 165<sup>1</sup>–165<sup>3</sup>, 166-ე და 167-ე მუხლებით, 171-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 171<sup>1</sup>, 172-ე, 172<sup>4</sup>–172<sup>6</sup>, 173-ე, 173<sup>4</sup>–173<sup>7</sup>, 173<sup>9</sup>, 173<sup>12</sup> და 174<sup>1</sup> მუხლებით, 174<sup>15</sup> მუხლის მე-4 ნაწილით, 175<sup>1</sup>, 175<sup>2</sup>, 177<sup>8</sup>, 177<sup>9</sup>, 177<sup>11</sup>–178-ე, 179<sup>1</sup>–179<sup>3</sup>,

### 3. პროსტიტუციის თაობაზე სასამართლოს დადგენილებათა ანალიზი

#### ა. პროსტიტუციის თაობაზე სასამართლო დადგენილებათა ტენდენციები

იმის მიუხედავად, რომ სასკ-ი არ აკონკრეტებს სასამართლოს მიერ სასკ-ის 172<sup>3</sup> მუხლის (პროსტიტუცია) საქმეების განხილვის უფლებამოსილებას, თბილისის საქალაქო სასამართლოს აღნიშნულ მუხლზე დაყრდნობით, 2015 წელს განხილული აქვს 38, ხოლო 2016 წელს - სამი საქმე. სასამართლოს უფლებამოსილია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ნებისმიერი საქმე განიხილოს. აღნიშნული საქმეებიდან, საჭარო ინფორმაციის სახით მიღებულ სასამართლოს ხუთ დადგენილებაში შემდეგი ტენდენციები იკვეთება:

**ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენი ორგანო:** ყველა შემთხვევაში ოქმის შემდგენი ორგანოა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქალაქ თბილისის მთავარი სამმართველოს უბნის ინსპექტორების სამმართველო, რომელმაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის მასალები შეიტანა სასამართლოში.

**ადმინისტრაციული სამართალდარღვევების თარიღები:** 2015 წლის აპრილი (ოთხი დადგენილება), 2015 წლის მაისი (ერთი დადგენილება).

**ინფორმაცია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ:** დადგენილებები აღწერს, რომ პირი თავისი ნებით ეწეოდა პროსტიტუციას ქ. თბილისში არსებულ ბარ-რესტორანში. ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ როგორ დადგინდა პროსტიტუციის ფაქტი, სასამართლოს დადგენილებების ტექსტი არ მოიცავს.

**ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის დამადასტურებელი მტკიცებულებები:** ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები და ოქმის შემდგენთა ახსნა-განმარტება, რომლითაც მხარს უჭერენ მათივე შედგენილ ოქმს. ორ დადგენილებაში მტკიცებულების სახით მითითებულია მოწმის დაკითხვის ოქმები.<sup>98</sup> ერთ-ერთ საქმეზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენი პირი არ გამოცხადდა პროცესზე<sup>99</sup> (ამის მიუხედავად, პირს მაინც დაეკისრა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა). ყველა საქმეზე სექსმუშვი ეთანხმება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს, ხოლო ერთ შემთხვევაში „გულწრფელად მოინანია“ სამართალდარღვევის ჩადენა.<sup>100</sup>

**პასუხისმგებლობის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებები:** ყველა საქმეში, გარდა ერთისა, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოება იყო პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტის აღიარება. ერთ შემთხვევაში დადგენილება საერთოდ არ მოიცავს დამამძიმებელ და შემამსუბუქებელ გარემოებებს.<sup>101</sup>

180-ე და 181-ე მუხლებით, 181<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილით, 182-ე, 183-ე, 187-ე, 187<sup>1</sup>, 189-ე, 192-ე, 195-ე, 196<sup>3</sup>, 196<sup>6</sup>, 197<sup>1</sup>, 197<sup>2</sup> და 199<sup>1</sup> მუხლებით.

98 თბილისის საქალაქოს სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 28 აპრილის დადგენილება. მოსამართლე: ნინო ბუაჩიძე და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 23 აპრილის დადგენილება, მოსამართლე: ხატია არდაზიშვილი.

99 თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 6 მაისის დადგენილება. მოსამართლე: ნანა დარასელია.

100 თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 28 აპრილის დადგენილება. მოსამართლე: ინგა კვაჭანტირაძე.

101 თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 6 მაისის დადგენილება. მოსამართლე: ნანა დარასელია.

## **ბ. პროსტიტუციის თაობაზე სასამართლო დადგენილებებში გამოვლენილი ხარვეზები**

პროსტიტუციის თაობაზე (სასკ-ი 172<sup>3</sup> მუხლი) შესწავლილ სასამართლო დადგენილებებში შემდეგი ხარვეზები ვლინდება: სასამართლოს მიერ საქმის განხილვა არაუფლებამოსილი ორგანოს მიერ სამართალდარღვევების მასალების გადაცემის საფუძველზე (შინაგან საქმეთა ორგანოები) და სასამართლო დადგენილებათა დაუსაბუთებლობა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სასკ-ის თანახმად, შინაგან საქმეთა ორგანოები არ არიან უფლებამოსილი განიხილონ პროსტიტუციის შესახებ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეები და გადასცენ სასამართლოს სამართდარღვევის მასალები თუ ისინი არ აკავებენ პირს ოქმის შესადგენად.

ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ სასამართლო დადგენილებები დასაბუთებული უნდა იყოს და უნდა ემყარებოდეს მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომლებიც უტყუარად დაადასტურებდა პირის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტს.<sup>102</sup> შესწავლილი დადგენილებებიდან იკვეთება, რომ მათ აკლია დასაბუთება, რადგან არ მოიცავს ჩადენილი ქმედების შემადგენლობის აღწერასა და, შესაბამისად, არ ამყარებს ქმედების ელემენტებს მტკიცებულებით.

**პროსტიტუციის ფაქტის აღწერა:** შესწავლილი დადგენილებებიდან არც ერთში არ არის აღწერილი, თუ რაში გამოიხატებოდა ქმედება, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას ან თუ როგორ დადგინდა/გამოვლინდა აღნიშვნული ფაქტი. ყველა დადგენილება მოიცავს მხოლოდ იმის აღნიშვნას, რომ პირი თავისი ნებით ეწეოდა პროსტიტუციას თბილისში მდებარე ბარ-რესტორანში და არ აღწერს, თუ რა ქმედებაში გამოიხატა ქმედების შემადგენლობა ან როგორ მოხდა სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მიერ მისი გამოვლენა.

**პროსტიტუციის დამადასტურებელი მტკიცებულებები:** დადგენილებებში იკვეთება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ საკმარისი მტკიცებულებების არარსებობის პრობლემა, ვინაიდან ფაქტის დასადგენად სასამართლო მხოლოდ და მხოლოდ ეყრდნობა სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის (უბნის ინსპექტორის) მიერ შედგენილ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს და მისივე ახსნა-განმარტებას, რომლითაც მხარს უჭერს ამ ოქმს. ორ შემთხვევაში სასამართლოს მტკიცებულებებად ასევე აქვს მითითებული მოწმეთა ასხსნა-განმარტება, თუმცა დადგენილებები არავითარ ინფორმაციას არ შეიცავს იმაზე, თუ რა სახის ფაქტებს ადასტურებენ მოწმეები და ვინ არიან ისინი.

### **დასკვნა:**

შესწავლილმა სასამართლო დადგენილებებმა პროსტიტუციის ფაქტზე ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების თაობაზე გამოავლინა სექსმუშავების მიმართ პროცედურული დარღვევები პასუხისმგებლობის დაკისრების პროცესში: სამართალდარღვევის ოქმს გამოსცემს და სასამართლოში აგზავნის შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო, რომელიც სასკ-ის თანახმად არ არის

102 თბილისის საქალაქო სასამართლომ 2015 წლის 05 ნოემბრის დადგენილებით (საქმე #4/6426-15), საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლზე დაყრდნობით განმარტა: „ ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ. [...] აღნიშვნული სტანდარტი უნდა გავრცელდეს ადმინისტრაციულ პასუხისმგებაში მიცემული პირის მიმართაც და პირის სამართალდამრღვევად ცნობისა და მისთვის ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების დროს სახეზე უნდა იყოს მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც უტყუარად დაადასტურებდა ადმინისტრაციულ პასუხისმგებაში მიცემული პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტს. ყოველგვარი ეჭვი კი უნდა გადაწყდეს ბრალეული პირის სასარგებლოდ“.

უფლებამოსილი გამოსცეს პროსტიტუციის შემთხვევებზე ოქმი (თუ არ ახორციელებს პირის დაკავებას); სასამართლო დადგენილებები პროსტიტუციის ფაქტზე სახდელის დაკისრების თაობაზე დაუსაბუთებელია - არ მოიცავს სამართალდარღვევის არსის აღწერას და არ არის გამყარებული ფაქტის დამადასტურებელი საკმარისი მტკიცებულებებით.

## გ. სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის კანონიერი მოთხოვნის დაუმორჩილებლობა (სასკ, მუხლი N173)

### ი. სამართალდარღვევის გამოვლენის სტატისტიკა

სექსმუშავების განცხადებით,<sup>103</sup> პროსტიტუციის აღსაკვეთად მათ ხშირად უფარდებენ პასუხისმგებლობას არა პროსტიტუციის მუხლის, არამედ სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის გამო (სასკ, მუხლი N173). ეს შესაძლოა გამომდინარეობდეს იქიდან, რომ პროსტიტუციის განმარტება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში არ არსებობს და პროსტიტუციისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შეფარდება ზემოთ აღწერილ პრობლემებს უკავშირდება.

სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა, მისი სიტყვიერი ან სხვა სახის შეურაცხყოფა იწვევს ჭარიმას 250 ლარიდან 2000 ლარამდე ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 15 დღემდე.<sup>104</sup> შესაბამისად, სასკ-ის 173-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა უფრო მძიმეა (ითვალისწინებს ჭარიმის უფრო დიდ ოდენობას და ადმინისტრაციულ პატიმრობას), ვიდრე პროსტიტუციისთვის (სასკ, მუხლი N172<sup>3</sup>) გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

მსგავსი ფაქტების იდენტიფიცირებისა და მათზე სამართალნარმოების ადეკვატურობის შესწავლის მიზნით, კვლევის ფარგლებში მოხდა პირველი ინსტანციის სასამართლოებიდან სასკ-ის 173-ე მუხლზე დაყრდნობით მიღებული დადგენილებები გამოთხოვა, სადაც სამართალდარღვევი არის ქალი:

- ✓ 2013-2017 წლებში ბათუმის საქალაქო სასამართლომ განიხილა 57 საქმე;<sup>105</sup>
- ✓ 2010-2017 წლებში (2017 წლის მაისის მდგომარეობით) თბილისის საქალაქო სასამართლომ განიხილა 421 საქმე;<sup>106</sup>
- ✓ 2013-2017 (2017 წლის ივნისის მდგომარეობით) წლებში 8 უგდიდის რაიონულმა სასამართლომ განიხილა 15 საქმე;<sup>107</sup>
- ✓ 2016-2017 (2017 წლის ივნისის მდგომარეობით) წლებში გორის რაიონულმა სასამართლომ განიხილა 8 საქმე;<sup>108</sup>
- ✓ 2016-2017 (2017 წლის ივნისის მდგომარეობით) წლებში თელავის რაიონულმა სასამართლომ განიხილა 3 საქმე.<sup>109</sup>

103 საიას მიერ თბილისში, 2016 წლის მარტში, ჩატარებული ფოკუს ჰაუზი სექსმუშავ ქალებთან.

104 სასკ-ის 173-ე მუხლის სრული ითვალისწინებს შემდეგს: სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის, სამხედრო მოსამსახურის, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლის, აღსრულების პოლიციელის ან სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურის ან მასთან გათანაბრებული პირის კანონიერი განვარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა, ან ამ პირის სიტყვიერი შეურაცხყოფა ან/და მის მიმართ სხვ შეურაცხყოფელი ქმედების განხორციელება (გარდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევისა) –გამოიწვევს დაჭარიმებას 250 ლარიდან 2000 ლარამდე ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 15 დღემდე ვადით.

105 ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 30 ივნისის წერილი N407გ/3.

106 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 22 ივნისის წერილი N3-086/1977239.

107 ბუგდიდის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 26 ივნისის წერილი N449, რომლითაც მოგვაწოდა ზემოხსენებული 15 საქმე.

108 გორის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 30 ივნისის წერილი Nგ/ფ 7887.

109 თელავის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 26 ივნისის წერილი N407.

## ii. სასამართლოს დადგენილებების ანალიზი

კვლევის ფარგლებში, გაანალიზდა ზემოხსენებული სასამართლოებიდან მოწოდებული 32 დადგენილება, რომლებიც 173-ე მუხლს ეხება (სამართლდამცავი ორგანოს თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნის დაუმორჩილებლობა).<sup>110</sup> ყველა შემთხვევაში ადმინისტრაციულ სახდელდა-დებული არის ქალი.

აღნიშნული დადგენილებებიდან არც ერთი არ მოიცავს ინფორმაციას იმ პირის სტატუსზე (სექს-მუშავი), რომელიც არის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენი. არც დადგენილებებში აღწერილი ფაქტობრივი გარემოებები იძლევა იმის დადგენის შესაძლებლობას, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შეფარდება მოხდა სექსსამუშაოს კონტექსტში. მაგ. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აღწერაში, ხშირ შემთხვევაში, მხოლოდ ის არის აღნიშნული, რომ პირმა კონკრეტულ ადგილას და დროს საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, გამოხატა უპატივცემულობა პოლიციელის მიმართ ან არ დაემორჩილა პოლიციის თანამშრომელთა კანონიერ მოთხოვნას, დაეცვა საზოგადოებრივი წესრიგი.<sup>111</sup>

ამის მიუხედავად, რიგ დადგენილებებში გამოვლინდა ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც იძლევა იმის ვარაუდის საფუძველს, რომ სამართალდარღვევა ჩადენილია ისეთ გარემოებებში, რომლებიც პროსტიტუციის კონტექსტის მსგავსია. მაგ., გორის რაიონული სასამართლოს რამდენიმე შემთხვევაზე აქვს გამოტანილი დადგენილება სასკ-ის 166-ე (წვრილმანი ხულიგნობა) და 173-ე მუხლებზე დაყრდნობით, განმეორებად ქმედებებზე. გორის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 19 ივლისის დადგენლებით ადმინისტრაციული პატიმრობა შეეფარდა ზემოაღნიშნულ მუხლებზე 15-ჯერ ადმინისტრაციულ სახდელშეფარდებულ პირს, რომელიც ადმინისტრაციულ პასუხისმგებაში სულ 46-ჯერ მიეცა 2007-2016 წლებში. მის მიერ ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევა შემდეგნაირად არის აღწერილი: ნასვამმა პირმა ქუჩაში სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა პოლიციელს. იგი „ხმამაღლა, უწმაწური სიტყვებით ილანძღებოდა, რითაც არღვევდა საზოგადოებრივ წესრიგს. იგი არ დაემორჩილა პოლიციის თანამშრომლების განკარგულებას წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით, გაუწია ნინააღმდეგობა და მიაყენა მათ სიტყვიერი შეურაცხყოფა.“<sup>112</sup> ზემოაღნიშნულ განმეორებად ქმედებებში სახდელის სახით გამოყენებულია ადმინისტრაციული პატიმრობა 5-დან 14 დღემდე ვადით.

110 ზუგდიდის რაიონული სასამართლო - 15 დადგენლება; გორის რაიონული სასამართლო - 10 დადგენილება; თელავის რაიონული სასამართლო - 3 დადგენილება; თბილისის საქალაქო სასამართლო - 5 დადგენილება.

111 მაგ. თბილისის საქალაქო სასამართლოს დადგენილება 02.03.2017; თბილისის საქალაქო სასამართლოს დადგენილება, 23.04.2015; ზუგდიდის რაიონული სასამართლოს დადგენილება, 26.09.2015; ზუგდიდის რაიონული სასამართლოს დადგენილება, 26.09.2015.

112 გორის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 19 ივლისის დადგენილება. იხ. ასევე გორის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 2 მარტის დადგენილება; გორის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 12 აპრილის დადგენილება; გორის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 25 მარტის დადგენილება; გორის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 9 მარტის დადგენილება.

### III.

სექსმუშავთა მიმართ ძალადობა  
და მართლმსაჭულების  
ხელმისაწვდომობა - ფოვუს პგუფების  
ანალიზი

თბილისში, ბათუმში, ზუგდიდში, თელავსა და ქუთაისში 2016 წლის მანძილზე ჩატარებულმა ფოკუს ჰაუზებმა ცხადყო, რომ სექსმუშავი ქალები<sup>113</sup> სხვადასხვა ფორმის ძალადობასა და დისკრიმინაციას განიცდიან პოლიციელების, კლიენტებისა და საზოგადოების მხრიდან, ხოლო ამ დარღვევებზე მათთვის სამართლებრივი დაცვის საშუალებები არ არის ხელმისაწვდომი. სექსმუშავებს არ აქვთ ინფორმაცია და არ გამოიყენებიათ ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობისგან დაცვის დღეს არსებული მექანიზმები და სერვისები. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სტამბოლის კონვენციის შედეგად განხორციელებული ცვლილებები, რომლებიც სექსმუშავებს გენდერული ძალდობისგან დაცვის მექანიზმების გამოყენების შესაძლებლობას აძლევს ნებისმიერ კონტექსტში, ფოკუს ჰაუზების დროს არ იყო ამოქმედებული.

### **პოლიციის მხრიდან ძალადობა**

თბილისში, ბათუმში, ზუგდიდში, თელავსა და ქუთაისში მცხოვრებმა სექსმუშავებმა აღნიშნეს, რომ ისინი, ან მათი ნაცნობი სექსმუშავები, რეგულარულად განიცდიან პოლიციის მხრიდან ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, სექსუალურ ძალადობასა და იძულება.

მნიშვნელოვან პრობლემად წარმოჩნდა სექსმუშავებისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შეფარდების პრაქტიკა, ხოლო პროსტიტუციის ფაქტის დაუდასტურებლობის შემთხვევაში, სამართალდამცავი ორგანოებისთვის წინააღმდეგობის გაწევის გამო ჰარიმების შეფარდება. სექსმუშავები აცხადებდნენ, რომ სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლისთვის წინააღმდეგობის გაწევის გამო მათ უფრო ხშირად აჭარიმებდნენ, ვიდრე პორსტიტუციისთვის. ამგვარი ჰარიმების რაოდენობა რამოდენიმე ასეულ ლარს შეადგენს, რომელთაც სექსმუშავები ხშირ შემთხვევაში ვერ იხდიან.

უკიდურესად პრობლემურად აღინიშნა პოლიციელების მიერ სექსმუშავთა იძულება ანაზღაურების გარეშე სექსუალური მომსახურების გაწევაზე. ვინაიდან აღნიშნულზე უარის შემთხვევაში სექსმუშავების მიმართ პოლიცია იყენებს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობას და შევიწროებას, სექსმუშავები იძულებიან არიან სექსუალურ მომსახურებაზე დათანხმდნენ. სექსმუშავების იძულება სექსუალურ მომსახურებაზე უმეტესწილად მაშინ ხდება, როდესაც პოლიციელები ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ არიან. ხელშეუხებლობით და პოლიციის დაცვით სარგებლობენ ასევე ის სექსმუშავები, რომლებიც პოლიციასთან “თანამშრომლობენ” კლიენტებისთვის ნარკოტიკული საშუალებების ჩადების მეშვეობით, მათ სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებაში მიცემის მიზნით.

### **ძალადობა კლიენტების მხრიდან და პოლიციის რეაგირება**

სექსმუშავები აღნიშნავენ, რომ ისინი კლიენტებისგან ხშირია ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური, ეკონომიკური ძალადობის, იძულების, შანტაჟისა და ადევნების სხვადასხვა ფორმები. ძალადობის ამ ფორმებისგან დასაცავად სამართლებრივი საშუალებები მათთვის ხელმიუწვდომელი ან არაეფექტურია, ხოლო კლიენტები მოქმედებენ იმ განწყობით, რომ აღნიშნული ქმედებების გამო მათ პასუხს არ აგებინებენ. სექსმუშავთა მიმართვები პოლიციის მიმართ ძალადობის თაობაზე (რომლებიც უკიდურესად იშვიათია), რეაგირების გარეშე რჩება, ან მოძალადის მიმართ ხდება არაადეკვატურად მსუბუქი სანქციის გამოყენება. შესაბამისად, რჩება შთაბეჭდილება, რომ სამართალდამცავი ორგანოები დისკრიმინაციულად მოქმედებენ და სექსმუშავთა მიმართ ჩადენილ დანაშაულებს არ აღიქვამენ ისეთი სიმძიმის დანაშაულებად, როგორც იმ დანაშაულებს, რომლებიც ჩადენილია არასექსმუშავი ქალების მიმართ.

113 კვლევამ 2016 წლის მანძილზე მოიცვა მხოლოდ სისგნდერი სექსმუშავი ქალები (26 ქალი). კვლევის ფარგლებში არ მომხდარა ტრანსგენდერ სექსმუშავ ქალთა გამოვითხვა.

კლიენტები სექსმუშაკებზე ფიზიკურად და სექსუალურად ძალადობენ მაშინ, როდესაც სექსმუშაკი არ არის თანახმა სექსუალური მომსახურების კონკრეტულ ფორმაზე (კლიენტი არღვევს წინასწარ შეთანხმებულ პირობებს), როდესაც კლიენტს არ აქვს საკმარისი თანხა მომსახურებისთვის, ან როცა მომსახურების გაწევა ხდება დაუცველ ან დაუსახლებელ ადგილას.

ბათუმში მცხოვრები სექსმუშაკები, რომლებიც მომსახურებას უწევენ როგორც ეროვნებით ქართველ, ისე თურქ მამაკაცებს, აღნიშნავენ, რომ ძალადობის შემთხვევები და ღირსების შემლახველი მოპყრობა ეროვნებით ქართველი მამაკაცებისგან უფრო ხშირია.

სექსმუშაკების მიმართვიანობა პოლიციის მიმართ უკიდურესად დაბალია, ვინაიდან სექსმუშაკებს არ აქვთ ნდობა სამართალდამცავი ორგანიზების მიმართ და ასევე შიშობენ, რომ სამართლებრივი საშაულებების გამოყენების შედეგად მათი სტატუსი შეიძლება გამუდამდეს. აღნიშნული განპირობებულია ერთის მხრივ იმ ფაქტორით, რომ პოლიცია მათ უმეტესწილად ევლინება მოძალადედ და არა მათი უფლებების დამცველად, ხოლო მეორე მხრივ მათი ან მათი ნაცნობების ნეგატიური გამოცდილების გამო სექსმუშაკთა მიმართ დანაშაულების (მათ შორის პროსტიტუციასთან დაუკავშირებელი დანაშაულების) გამოძიებაზე. სექსმუშაკები ასევე იკავებენ თავს მიმართონ პოლიციას იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს პროსტიტუციასთან დაკავშირებული სისხლის სამართლის დანაშაულების გამოაშვარავების საფრთხე, რაც მათ დააზარალებს (მაგ. პროსტიტუციისთვის ფართის გადაცემისთვის იმ პირის პასუხისვებაში მიცემის შესაძლებლობა, რომლისგანაც ქირაობენ ბინას).

სექსმუშაკები აღნიშნავდნენ, რომ კლიენტების ან პოტენციური კლიენტების მხრიდან მათ მიმართ ძალადობის შემთხვევაში პოლიციას უმეტესწილად არ მიმართავენ, თუ ისინი არ სარგებლობენ პოლიციის მფარველობით (რაც თავის მხრივ განპირობებულია სექსმუშაკების თანამშრომლობით პოლიციელებთან უკანონო ქმედებების ჩადენაში ან პოლიციელთათვის ანაზღაურების გარეშე სექსუალური მომსახურების გაწევით). პოლიციას მხოლოდ იმ შემთხვევაში იძახებენ, თუ კლიენტი ფსიქოლოგიური ძალადობისა და შეურაცხყოფიდან ფიზიკურ ძალდობაზე გადადის. მიუხედავად იმისა, რომ ფიზიკური ძალადობა სისხლის სამართლის დანაშაულია, პოლიციის მიერ მიღებული ზომა მოძალადის სექსმუშაკიდან განცალკევებაა და აღნიშნულ დანაშაულებზე მოძალადეთა პასუხისვებაში მიცემა არ ხდება. სექსმუშაკები ასევე აცხადებენ, რომ იმ შემთხვევაშიც, თუ დანაშაული სრულებით არ უკავშირდება სექსმუშაკთა მიმართ ძალადობას (მაგ. კლიენტმა სექსმუშაკს მოპარა მობილური ტელეფონი), პოლიცია ასეთი საქმის გამოძიებას დისკრიმინაციული მოტივით უგულისყუროდ ეკიდება, ვინაიდან დაზარალებულ პირს სექსმუშაკი წარმოადგენს. სექსმუშაკებმა ფაქტობრივად ვერ გაიხსენეს მათ მიმართ ჩადენილი ძალადობის გამო დამნაშავის პასუხისვებაში მიცემის შემთხვევა, გარდა ძალადობის უკიდურესი ფორმის - სექსმუშაკის მკვლელობის - შემთხვევისა.

სექსმუშაკის დაშანტაჟების მიზნით ხშირია ასევე კლიენტების მხრიდან მათი პერსონალური მონაცემების გავრცელების მუქარა ან მონაცემების გავრცელება, მათ შორის ინტერნეტ საშუალებებით.

ბათუმში მცხოვრები ზოგიერთი სექსმუშაკის თანახმად, 2012 წლამდე პოლიცია მეტი გულისხმი-ერებით ეკიდებოდა მათ მიმართ ჩადენილ დანაშაულებს, ვიდრე დღეს. შესაბამისად, სექსმუშაკები ცდილობენ თავად იპოვონ გამოსავალი ძალადობის შემთხვევაში და თავის დასაცავად ხშირად მოძრაობენ ცრემლსადენით, შპრიცითა და “დუბინკით” შეიარაღებული.

### **ოჯახში ძალადობა და საზოგადოების დამოკიდებულება**

სექსმუშაკთან ნაწილი აღნიშნავდა, რომ სექსსამუშაოში ჩართო მას შემდეგ, რაც ოჯახში

ძალადობას განიცდიდა მეუღლის მხრიდან. სექსმუშაკები ამბობდნენ, რომ ხშირად ოჯახში ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას განიცდიან იმ შემთხვევაში, თუ ოჯახის წევრები მათი სტატუსის შესახებ გაიგებენ. აღნიშნული საქმიანობის გამო ოჯახის წევრები ზოგჯერ მათ ატოვებინებენ საცხოვრებელ სახლს. სექსმუშაკებმა აღნიშნეს ასევე ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევების, ასევე მათი ნივთების დაზიანების თაობაზე პარტნიორებისგან, რომლებთანაც თანაცხოვრებაში იმყოფებიან.

სექსმუშაკები აღნიშნავენ, რომ სრულებით დაუსველი არიან საზოგადოების მხრიდან სტიგმის, დისკრიმინაციული დამოკიდებულებისა და აგრესიისგან. ერთ-ერთი სექსმუშაკის თანახმად, საზოგადოება მათ რიყავს და აღიქვმს, როგორც ნივთს. ვინაიდან სექსმუშაკებს რცხვენიათ თავიანთი საქმიანობის და საზოგადოება განსჭის მათ, ისინი ვერ დადიან საზოგადოების თავშეყრის ადგილებში და ოჯახისა და ნათესავების მნიშვნელოვან მოვლენებზე, როგორიცაა ქორწილი, დაბადების დღე ან დაკრძალვა. ისინი ასევე არ კონტაქტობენ თავიანთი შვილების მეგობრებთან და ერიდებიან მათთან ერთად საზოგადოებრივ სივრცეში გამოჩენას, რადგან შიშობენ, რომ დაექვემდებარებიან შეურაცხმყოფელ კომენტარებს ადამიანებისგან, რომლებმაც მათი სტატუსის შესახებ იციან.

### **სექსსამუშაოში ჩართვისა და ამ საქმიანობაში დარჩენის მიზეზები**

გამოვითხულ სექსმუშაკთა უდიდესი უმეტესობა ყველა ქალაქში აცხადებდა, რომ პროსტიტუციაში ჩაერთო უკიდურესი ეკონომიკური სიდუხჭირის გამო თავისი შვილებისა და თავისი ფიზიკური გადარჩენის მიზნით. თუმცა, პროსტიტუციით მათ მაინც ვერ შეძლეს თავი დაეღწიათ სიღარიბისთვის. მათთვის ძირითადი პრობლემა პროსტიტუციის დროს დაცვის მექანიზმების არქონაა. სექსმუშაკთა ნაწილი პროსტიტუციაში ჩართო მას შემდეგ, რაც გახდა მეუღლის მხრიდან ოჯახში ძალადობის ან ტრეფიკინგის მსხვეპლი, მათ შორის ტრეფიკინგის მსხვერპლი თურქეთში.

# დასკვნა და რეკომენდაციები

სექსმუშავ ქალთა მიმართ ძალადობისა და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის შესახებ კვლევამ ცხადყო, რომ პროსტიტუციასთან მიმართებით ყველა სახის საკანონმდებლო ნორმისა და პრაქტიკის ანალიზი უნდა მოხდეს ქალთა მიმართ გენდერული ძალადობისა და ინტერსექციური დისკრიმინაციის კონტექსტის გათვალისწინებით. სტრუქტურული უთანასწორობა, რომელსაც სექსმუშავები განიცდიან თავიანთი გენდერის, მარგინალიზებისა და სოციალური სტატუსის გამო გავლენას ახდენს სექსმუშავთა გადაწყვეტილებაზე, ჩართონ და დარჩნენ პროსტიტუციაში, ხოლო რეპრესიული კანონმდებლობა ზღუდავს მათ ხელმისაწვდომობას ძალადობისგან დაცვის საშუალებებზე.

კვლევის ფარგლებში ჩატარებულმა ფოკუსზეფუფებმა გამოავლინა, რომ გარდა გენდერული ძალადობისა და მრავალი ნიშნით დისკრიმინაციისა, სექსმუშავები განიცდიან სტიგმასა და მარგინალიზებას სექსსამუშაოს გამო. სტიგმატიზება და სექსსამუშაოს ადმინისტრაციული წესით დასჭა ხშირად იძულებულს ხდის სექსმუშავებს იმუშაონ დაფარულად და საფრთხის შემცველ გარემოში, სადაც რესურსებსა და სახელმწიფოში არსებულ დაცვის მექანიზმებზე ფაქტობრივად ხელი არ მიუწვდებათ.

სექსმუშავები განიცდიან ძალადობის სხვადასხვა ფორმებს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებისგან, რაც არის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ კლიენტების მხრიდან ძალადობის შემთხვევებში ისინი სამართალდამცავ ორგანოებს არ მიმართავენ. სამართალდამცავი ორგანოების თვითნებობის შესაძლებლობას კი რეპრესიული, ქალთა მიმართ დისკრიმინაციული კანონმდებლობა და სექსმუშავთა მიმართ ჩადენილი დანაშაულებისთვის დაუსჯელობა განაპირობებს. ფიკუს ზეფუფებმა ასევე ცხადყო, რომ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები დისკრიმინაციულად მოქმედებენ და სექსმუშავთა მიმართ ჩადენილ დანაშაულებს არ აღიქვამენ ისეთივე სიმძიმისა და სერიოზულობის დანაშაულად, როგორც დანაშაულებს ჩადენილს სხვა ქალთა მიმართ.

შესწავლილმა სასამართლო დადგენილებებმა პროსტიტუციისთვის ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების თაობაზე გამოავლინა სასკ-ის მთელი რიგი პროცედურული ხარვეზები სექსმუშავებისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების პროცესში და სასამართლოს დადგენილებების არასაკმარისი დასაბუთება, რაც ქმნის არსებული კანონმდებლობის სექსმუშავთა მიმართ უკანონო, თვითნებური და დისკრიმინაციული გამოყენების საფრთხეს. აღნიშნულს დიდწილად განაპირობებს პროსტიტუციის აღმინსიტრაციული წესით დასჭადობა სექსმუშავთა მიმართ, ასევე კანონმდებლობაში პროსტიტუციის განმარტებისა და პროსტიტუციისთვის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის გამოცემაზე პასუხისმგებელი ორგანოს არარსებობა.

სექსმუშავთა გენდერული ძალადობისგან დასაცავად და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის სისტემური ცვლილებების გატარება არის საჭირო საკანონმდებლო, პოლიტიკისა და პრაქტიკის დონეზე, რათა მოხდეს პროსტიტუციით განპირობებული ადამიანის უფლებათა დარღვევების აღმოფხვრა, მათ ძირეულ მიზეზებთან ბრძოლა და ქალებისთვის არსებითი თანასწორობის უზრუნველყოფა.

## **რეკომენდაციები:**

### **საქართველოს პარლამენტის**

- ✓ მოხდეს სასკ-დან 1723 მუხლის (პროსტიტუცია) ამოღება სექსმუშავების მიმართ გენდერული ძალადობის საფრთხის შემცირებისა და მათთვის მართლმსაჭულებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით;
- ✓ პირის (მათ შორის არასრულწლოვნის) პროსტიტუციაში ჩაბმა სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამის თავში გადატანის მეშვეობით, უნდა განისაზღვროს, როგორც ადამიანის უფლებების ან სქესობრივი თავისუფლების/ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული. თუ დანაშაული არასრულწლოვნის მიმართ არის ჩადენილი (სსკ 253.2), დაცვის ობიექტი უნდა იყოს თვით არასრულწლოვანი და არა საზოგადოებრივი ჯანმრთელობა ან მორალი.

### **საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, მთავარ პროკურატურასა და საერთო სასა-მართლოებს**

- ✓ მოხდეს სამართალდამცავი ორგანოების მიერ სექსმუშავების მიმართ უფლებამოსილების გადამეტების, გენდერული ძალადობისა და სხვა სახის დანაშაულების ეფექტური გამოძიება და დასკა;
- ✓ შეწყდეს პროსტიტუციის აღსაკვეთად სექსმუშავებისთვის სამართალდამცავი ორგანოს კანონიერი მოთხოვნის დაუმორჩილებლობის გამო ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თვითნებური პრაქტიკა;
- ✓ სახელმწიფომ უზრუნველყოს სექსმუშავების მიერ ძალადობისგან დაცვის მექანიზმების გამოყენების მონიტორინგი (სისხლისსამართლებრივი და ადმინისტრაციული მექანიზმები) და აწარმოოს სათანადო სტატისტიკა, მათ შორის სექსმუშავების მიმართ დანაშაულის ჩადენისთვის პასუხისმგებაში მიცემის სტატისტიკა;
- ✓ სახელმწიფომ უზრუნველყოს სექსმუშავთა ძალადობისგან დაცვა და მათთვის მართლმსა-ჭულების ხელმისაწვდომობის გაზრდა სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა და მოსამართლეთა გადამზადების მეშვეობით. ტრენინგები უნდა მოიცავდეს სექსმუშავთა მიმართ ინტერსექციური დისკრიმინაციის ანალიზს და მათთვის მართლმსაჭულების ხელმი-საწვდომობის ბარიერებს;

### **საქართველოს მთავრობას**

- ✓ სექსმუშავთა ძალადობისგან დაცვა და მათი ადამიანის უფლებების (მათ შორის სოციალური და ეკონომიკური უფლებების) უზრუნველყოფა უნდა გახდეს ადამიანის უფლებათა სამთავრობო სამოქმედო გეგმათა ნაწილი. გეგმა, სხვა საკითხებთან ერთად, უნდა ითვალისწინებდეს სახელმწიფოს მიერ გასატარებელ ღონისძიებებს, რათა მძიმე სოციალური ფონი არ გახდეს ქალებისთვის პროსტიტუციაში ჩართვის განმაპირობებელი ფაქტორი;
- ✓ CEDAW-ს რეკომენდაციების შესაბამისად, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მხარდაჭერა ქალებისთვის, რომელთაც სურთ პროსტიტუციის შეწყვეტა და უზრუნველყოს ისინი შესაბამისი ტრენინგებით და სხვა სახის სერვისებით თავის რჩენის ალტერნატიული საშუალებების მო-საძებნად;
- ✓ სახელმწიფომ უზრუნველყოს სექსმუშავთა თემში სამართლებრივი დაცვის მექანიზმებზე ცნობიერების ამაღლება
- ✓ გენდერული თანასწორობის შესახებ განათლების მეშვეობით სახელმწიფო უნდა ებრძოლოს ქალის სექსუალურ აბიექტივიზაციას, როგორც პროსტიტუციაზე მოთხოვნის ერთ-ერთ მნი-შვნელოვან გამომწვევ მიზეზს;
- ✓ სექსმუშავების თაობაზე ყველა გადაწყვეტილების მიღება უნდა მოხდეს მტკიცებულებებზე დაფუძნებული კვლევებისა და სექსმუშავთა თემთან მჭიდრო კონსულტაციების შედეგად. გადაწყვეტილების მიღებისა თუ პოლიტიკის ფორმირების დროს სექსმუშავთა ადამიანის უფლებების დაცვა უნდა იყოს ამოსავალი პრინციპი.